




სპალ თბილისში საზეიმოდ იხსნება ევროპის ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური ფესტივალი

საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 ივლისი, 2015 წელი.

№138 (7783)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge **ვებ გვერდი: www.sakresp.ge** **ფასი 50 თეთრი.**

ეს პრესტიჟია საქართველოსი!



გამართული ეგებება 4 ათასამდე სტუმარს 50 სახელმწიფოდან.

ძალა რომ ერთობაშია, კიდევ ერთხელ დადასტურდა ფესტივალისთვის მზადების პერიოდში, როცა მთავრობამ, დედაქალაქის მერიამ, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, სხვადასხვა პროფილის დანეხებულ ბებმა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა თბილისი სამშენებლო პოლიგონად აქციეს, ეს ყველაფერი კი მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის გამიზნული ინფრასტრუქტურის შექმნით დაგვირგვინდა.

სპორტული სამყარო დღესაც აღფრთოვანებულია, თუ როგორ ზღაპრულად გაართვა თავი მეზობელმა ბაქომ პირველი ევროპული თამაშების მასპინძლობას. ვიმედოვნებთ, სტუმრებს ქართული სასწაულიც ელით!

გიორგი შოთაძე

შენ ხარ სპორტი და შენ ხარ მშვიდობა! შენ აახლოებ ადამიანებს, თესავ სიკეთეს და მერე თავადვე იმეი საკუთარი სიკეთის ნაყოფს. შენ შთააგონებ ახალგაზრდობას, რომ პატივი სცენ საკუთარ თავს და მშობლიურ მიწას. შენ ასწავლი ადამიანებს, რომ ერთადერთი სამართლიანი ბრძოლა, ეს არის ბრძოლა საქვეყნო მშვიდობისათვის!

ბარონი პიერ დე კუპერტინი,
თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებელი, ლექსიდან „ოდა სპორტს“.

სპალ 20 საათზე ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება ევროპის ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური ფესტივალი.

კოპაბიტაციაგავლილმა, სტიქიაგადატანილმა ქვეყანამ ღირსეულად გაართვა თავი ასეთი მაღალი რანგის სპორტული ფორუმის სათანადო დონეზე მასპინძლობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას და წელ-



თითქოს დღეს ეთქვას!

ბარონების 100 წლისთავი

ცხოვრება ჩვენს წადილს და გემოვნებას არ დასდევს; იმას საკუთარი თავისი კანონი აქვს. როგორც გაზაფხულის მიიდან მომსქდარს ღვარებს ვერაფერ დააგუბებს, ვერ შეაჩერებს, ისე ცხოვრების წადილს, მის მისწრაფებას, ბევრის წყენას, ბევრის ცუქმას, გვემას არ დაგიდევს. მომწიფებული მსხალი და ვაშლი თუ დროზე არ მოსწყვიტე, თავის-თავად დაბლა ვარდება; აგრეთვე მომწიფებული აზრი ცხოვრებისა, თუ მისი მოთხოვნილება დროზე არ დააკმაყოფილე, ბრაზდება, ცხარდება; მისი დაჩუქება, დადუქება ყოფილად შეუქლებულია. ასე ყოფილა სხვაგან, ასევე იქნება ჩვენში. ვინ იტყვის, თუ არ ბრყვი, რეგვიწინი, თავსედი, – ცხოვრებას კისერში ხელსა ვტაცებ და თავს, საითაც მიწდა, იქით ვუწამო, ეცადოს ვისაც ტვინი და ხელეები ექავება.

ყველაფერი დროს მოაქვს და ბევრი რამ იმასვე მოაქვს, სოლი არა სასარგებლო, არამედ ის, რაც გამოუსადეგარი, რაც მაწენებლია. დრო რასაკვირველია, არ უნდა წარმოვიდგინოთ განყენებულად, არამედ როგორც თაობა, როგორც ისტორიული ხანა. დღევანდლამდის სიმართლეს ჯადოდ აწვა ვონებრივი სიჯიუტე, სოლი დღეს მან მოიგდებინა ჯადო, აღსდგა, გამობრწყინდა, როგორც მზე შავი ღრუბლებიდან, და იბახის: „აქა ვარ, არ მომკვდარვარო!“ „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო“. ჩვენს ისტორიულს ხნას, ჩვენს ცხოვრებას ჭირი სჭირდა, მაგრამ ჰმაღავდა, გვატყუებდა: კარგადა ვარ, ჯანსაღად, არაფერიც არა მტკივაო, გვარწმუნებდა, გვეფიცებოდა ლოგინად ჩავარდნილი, დაკუტებულ-დამუნჯებული. დღეს კი, როცა ტყვიელი მოერია, მოთმინება გაუწყდა, გაიღვდა გულმკერდი და დაგვანახა ზედ ღრმად დარჩენილი წყლულები: „მიექიმეთო“. ყველა ჭკვა-სალი, შორსგამჭყრეტი ადამიანი ჰგრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან, ეს ასე უნდა მომსდარიყო.

მონდა კიდევაც, და დღეს ყველა ძალაუნებურად მოსთქვამს იმას, რაცა სტკივა. მოთმინების ძაფი გაწყდა; აღარ ჰმაღავს მშვიერი – სიმშოლს, ნაცეში – ცემას, ტყვე – ტყვეობას, მონა – მონობას, ბაღლებმაც კი შეიგნეს თავიანთი ადამიანობა, ისინიც იბრძვიან, იღწვიან, ცდილობენ ადამიანური უფლებები მოიბოვონ. ვისაც არაფერი დაუკარგავს, არც ექებს. ვისაც სატირელი არა აქვს, არცა ტირის; ვისაც საჩივარი არა აქვს, არ ჩივის...

დიად, აბარებს ძველი ცხოვრება ანგარიშს ახალს, მომავალს ცხოვრებას; როგორც გაწილებული მატყუარა ცდილობს, გაიპაროს ისე, რომ ფეხები არ დაემტვრეს... დროა და!

ეს მასლას!

მაჭა-ფუაველა
1905 წ.

ალიან-ჩალიანი

პრემიერი ევროპის საზღვრის ტერიტორიის ოფისის ახალ ხელმძღვანელს შეხვდა



შინაბან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სასამართლო სისტემის რეფორმა და ადამიანის უფლებები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილისა და ევროპის საბჭოს თბილისის ოფისის ახალი ხელმძღვანელის კრისტინა ურსეს შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, მთავრობის მეთაურმა საქართველოს მთავრობისა და ევროპის საბჭოს მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა და საქართველოს ოფისის ახალ ხელმძღვანელს წარმატებები უსურვა.

„საქართველო მზად არის, განაგრძოს პარტნიორობთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა მიადლოს მნიშვნელოვან პროგრესს დემოკრატიული რეფორმებისა და დემოკრატიული მიდევნების გამყარების პროცესში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე.

შეხვედრაზე საუბარი საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე მოვლენებს და კონფლიქტისპირა რეგიონებში არსებულ მდგომარეობას შეეხო.

ნაბოვი არ არსებობს ქვეყანა, რომლის საქართველოსთვის MAP-ის მიხედვით წინააღმდეგობა

ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

რაც შეეხება მისივე განცხადებას, რომ თუ MAP-ს არ მოგვემენ, ეს ტრაგედია იქნება, ხიდაშელის თქმით, შეიძლება ცოტა არასწორი სიტყვა გამოიყენა, ვინაიდან ტრაგედია იქნება ომი. ფართომასშტაბიანი ომი კი, თავდაცვის მინისტრის შეფასებით, არ არის ყველაზე მოსალოდნელი და ხვალ და ზევ არ მოხდება.

„უკრაინაში მიმდინარე პროცესი ერთგვარ შესაძლებლობის ფანჯარას ხსნის იმ გაგებით, რომ რუსეთი არ არის მზად გასწავს მე-2, მე-3 და მე-17 ფრონტები. ის ამას უკვე გააკეთებდა. ეს არ არის მხოლოდ ჩემი ანალიზი, ასეთია ყველას მიერ დანახული რეალობა. როდესაც მოლაპარაკებების დროს ჩვენ ცოტა ვზრდით ხოლმე რისკებს, ამას მუდმივად გვეუბნებიან – თქვენც ხომ იცით, რომ ეს არ არის სვალინდელი ამბავი. გასაგებია, ალბათ, არ არის, თუმცა, ყველას გვახსოვს, რომ რუსეთთან გვაქვს საქმე“, – განაცხადა ხიდაშელმა.

უზრუნველყოფის კითხვას, რომ ასეთ შემთხვევაში ოპონენტები იკითხავენ, თუ რუსეთი არ არის მზად ფრონტის გასახსნელად, რატომ საქართველო არ აკეთებს ამას და რომ ამაზე მიაჩნდა დავით დარჩიანშვილმა, ხიდაშელი პასუხობს, რომ ის თავს იკავებს ბევრი ისეთი რამის თქმისგან, რასაც ოპონენტები იმსახურებენ.

შესაძლებელია ელექტროენერჯის ტარიფი ობიექტურად გაიზარდოს

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ვარაუდობს, რომ ელექტროენერჯის ტარიფი თბილისშიც გაიზარდება.

ტარიფის კორექტირებასთან დაკავშირებით, მარეგულირებელ კომისიაში პირველად განაცხადი შეიტანეს თბილისის ელექტროენერჯის შემდეგ სადისტრიბუციო კომპანია „ენერჯო-პრომ“. ცნობილი გახდა, რომ კომპანია „თელასმა“ ანალოგიურად, ტარიფების გადახედვასთან დაკავშირებით განაცხადი შეიტანა.

ენერჯეტიკის მინისტრმა უპასუხა წამყვანის შეკითხვას – არის თუ არა ამ ეტაპზე საშიშროება, რომ თბილისზე გაგრძელდეს ელექტროენერჯის ტარიფის გაზრდა? „მარეგულირებელი კომისია დაითვლის ანალოგიურად „თელასის“ ტარიფებსაც, თუმცა, ვვარაუდობთ, რომ ანალოგიურად მოხდება გაზრდა, რადგან შესასყიდი ელექტროენერჯია ყველასთვის ერთია. აქ საუბარი არ არის საქართველოში გამომუშავებულ ელექტროენერჯიაზე, ეს არის ძირითადი ის ელექტროენერჯია, რომელიც შემოდის უცხოეთიდან.



ჩვენ ამიტომ ვსაუბრობთ ქვეყნის ენერჯეტიკის მინისტრის მინისტრის მინისტრისა და ეკონომიკური გუნდის თანხმობის, რომ უახლოეს მომავალში შევძლოთ იმ წყლის რესურსების ათვისება, იმ ქარის სადგურების პროექტების განხორციელება, ჰიდროელექტროსადგურების აშენება, რომ არ ვიყოთ ელექტროენერჯის თვალსაზრისით დამოკიდებული ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე და გვექონდეს საკუთარი ელექტროენერჯია“, – განაცხადა გუშინ კახა კალაძემ.

მთავრობა სუბსიდირებს სქემას წარმოკვიდრებს

ელექტროენერჯის საფასურის სუბსიდირების სქემის შემუშავებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ეკონომიკური გუნდის სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს.

მთავრობის ადმინისტრაციაში იმყოფებოდნენ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვიციანიშვილი და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხალვაში. შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

„ენერჯო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის საომომხმარებლო ტარიფი დღგ-ს გარეშე, 3,348 თეთრით გაიზარდა. დღგ-ს ჩათვლით კი, მომხმარებლისთვის დაახლოებით, 3,95 თეთრით გაიზარდა ტარიფის გადახდა მოუწევს. შესაბამისი გადაწყვეტილება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სუთშაბათს სხდომაზე მიიღო.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას სატარიფო განაცხადით მიმართა საქციო საზოგადოება „თელასმაც“.

შაბათიდან – შაბათამდე...

ბასული კვირის მიმოხილვას კვლავ ბოლოდან დავიწყებ: ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ლევან ბობოხიძე შეინიშნა.

ერთი შეხედვით არაფერი ისეთი – პრეზიდენტმა პატიმარი შეინიშნა. ძალიანაც კარგი, რომ შეინიშნა. მეტი საქმე მაინც არაფერი აქვს და რადიცა რომ გააკეთა, ამისთვისაც დიდი მადლობა.

ადამიანი დაუბრუნდა ოჯახს, საზოგადოებას, საყვარელ საქმეს და უკვე გამოსწორებული, ახალი შემართებით გააგრძელებს შრომას.

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე ის არის, რომ შენყალიბებული ლევან ბობოხიძე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის აკაკი ბობოხიძის ძმაა, რომელიც სასჯელს ხონის მუნიციპალიტეტში სერჯის უკანონოდ გაცემისა და საჯარო მოხელეებისგან ყოველთვის დანაშაულებს თანხების აკრძალვის ბრალდებით იხდოდა სასჯელს.

ამასაც არა უშავს რა. შეიძლება ადამიანმა გაიცივებინა თავისი დანაშაული, მოინანიდა და ორშაბათიდან აღარ აპირებს უკანონო მოქმედებების ჩადენას.

როორც ვხედავთ, ამ ჩვენს ხათრით არჩეულ პრეზიდენტს, სხვა „სიკეთებთან“ ერთად, ორმაგი სტანდარტებისკენ მიდრეკილება აღმოაჩნდა. შეწყალებულ პატიმარს თავისუფლების აღკვეთა სამი წლითა და 6 თვის შტონდა მისჯილი. მან საპატიმრო დაწესებულებაში 9 თვე გაატარა.

არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, იმასთვის, რომ შეინიშნოს, პატიმარმა სასჯელს არსებით დატოვა, დასაჯების ვადის ორი მესამედი მაინც უნდა გაატაროს.

ესეც არაფერი. ჩავთვალოთ, რომ „ჩვენს“ პრეზიდენტს კეთილი გული აქვს და თავის ძალაუფლებას მხოლოდ დაწარული ადამიანების დასამხარებლად იყენებს. მაგრამ მან რა ვუყოთ 4 შვილის დედას, 42 წლის ეკა სირაძეს, რომელსაც 2010 წელს 5 ინდოელი მამაკაცისგან თავდაცვის გამო 28-წლიანი სასჯელი მიუსაჯეს. მას სასჯელი ამნისტიის წყალობით შეუმსუბუქდა და ახლა მას 13 წელი დარჩა მოსახდელი.

მიუხედავად საზოგადოების მიერ გამოთქმული შეფასებისა და ხალხის განწყობისა, ეს ხათრით არჩეული ე.წ. პრეზიდენტი ყურსაც არ აბარტყუნებს.

სამაგიეროდ, ვეტოს ადებს კანონს, რომელიც ქართველი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ფინანსური საბოტაჟის მომწყობის ალაგმვას ესება.

„პარლამენტის პრეზიდენტის კიდევ ერთი ვეტოს დაძლევა მოუწევს. გიორგი მარგველაშვილი ამჯერად საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ მომზადებული და უკვე მზარდაჭერილი იმ კანონითა უკმაყოფილო, რომლითაც ეროვნული ბანკი საბანკო ზედამხედველობის ფუნქციას კარგავს. პრეზიდენტის ადმინისტრაციას საკუთარი ალტერნატიული პროექტი აქვს მზად, რომლის შეთავაზებას საკანონმდებლო ორგანოსთვის კონსულტაციების შემდეგ აპირებს.

მანამდე კი სახელმწიფოს მეთაურის უარყოფით პოზიციას, როგორც მოსალაგებელი იყო, საპარლამენტო ოპოზიციაში თანხმებიან. თუმცა, მმართველი გუნდისთვის მოსალოდნელი ვეტო კვლავ გაუგებარია“.

დაის, მართლაც, გაუგებარია და არა მარტო მმართველი გუნდისთვის, არამედ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის.

ხათრით არჩეული პრეზიდენტი „საკუთარ გუნდს“ ადანაშაულებს

საარჩევნო კანონში მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებაში და არ გამოთქვამს არანაირ პროტესტს ელექტროენერჯის ტარიფების მომატებაზე.

„სს „თელასმა“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას გუშინ სატარიფო განაცხადით მიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას სემეფი ავრცელებს.

„კომპანია ტარიფის დადგენას ითხოვს და სატარიფო განაცხადის წარმოდგენის მთავარ საფუძველად აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მკვეთრ ცვლილებას, შესასყიდი ელექტროენერჯის გაზრდილ ფასსა და ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფის ზრდას ასახელებს.

კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული ელექტროენერჯის განაწილე-

არასამთავრობო ორგანიზაცია –საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გაავრცელა ინფორმაცია სამინისტროებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, გასული 5 თვის განმავლობაში სარეკლამო დანახარჯების შესახებ.

აღმოჩნდა, რომ სამინისტროებმა და მათ დაქვემდებარებაში მყოფმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა 2015 წლის იანვარ-მაისის პერიოდში, 5 თვის განმავლობაში, სარეკლამო რგოლების დამზადებასა და სხვადასხვა ტელევიზიებში მათ განთავსებაზე მილიონზე მეტი ლარი დახარჯეს (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ასევე იუსტიციის სამინისტრომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილებზე ორგანიზაციას არ უპასუხეს).

კვლევის თანახმად, საერთაშორისო სარეკლამო რგოლების დამზადებაში ჯამში 197 521 ლარი დახარჯა, განთავსებაში კი – 902 559 ლარი. ამასთან, სამინისტროებისა და სსიპების სარეკლამო რგოლების უმეტესობა სოციალური რეკლამის სტატუსით უფასოდ არ განათავსდა. კომერციულმა არსებმა უფასოდ მხოლოდ ორი სარეკლამო რგოლი განათავსეს – ჯანდაცვის სამინისტროს ვიდეორგოლი „C შეპატივის“ ელიმინაციის პროგრამის შესახებ და გარემოს დაცვის სამინისტროს ვიდეორგოლები ჯარიმებზე მოქალაქეების ინფორმირების თაობაზე.

ამავე კვლევის თანახმად, სახელმწიფო უწყებების რეკლამებიდან მიღებული ყველაზე მეტი შემოსავალი, 376 155 ლარი, „რუსთავი 2“-ს აქვს მიღებული. შემდეგ მოდიან: „იმედი“ – 308 472, „მეგობრობა“ – 105 051, „ჯი-დი-ესი“ – 64 339, რეგიონული მაუწყებლები – 29,388, „კავკასია“ – 17 182.

კვლევის დასკვნით ნაწილი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსხვილი ტელევიზიებისთვის სახელმწიფო უწყებებიდან რეკლამის განთავსების შედეგად მიღებული თანხა მათი შემოსავლის დიდ წილს არ წარმოადგენს. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სთვის სამინისტროებიდან და სსიპებიდან ნახევარი წლის განმავლობაში მიღებული თანხა არის 2015 წლის I კვარტალის შემოსავლის 3%-ია, ტელეკომპანია „იმედი“-ის – 6.5%, „მეგობრობის“ – 10%.

ამ ინფორმაციით კვლევის ავტორებმა საზოგადოებას პირდაპირი მსხვილი გაუგებრობა შეინიშნა: – მანისკომპანია ინც ნუ აღმოთვალავთ. ვერც ვუღიღინებთ, ვერც გრიგოლის, ვერც ჯაჯანიძის და ვერც მაიკო ასათიანის ნახევრად პორტოგრაფიულ შოუებს ვერაფერს დააკლებთ. მათ ისედაც კარგი შემოსავლები აქვთ.

აქ კვლავ აუცილებელია პრეზიდენტის ტრიბუნა. აუცილებელია, რომ იქიდან მაინც ითქვას სიმართლე. ითქვას ის, რისთვისაც ხალხი თავის არჩევანს აკეთებს, მაგრამ ტრიბუნა კვლავ ცარიელია.

წერილს სოციალურ ქსელ ვებსაიტებში გამოქვეყნებული ერთი სტატუსით დავამთავრებ: დენის ტარიფი გააძვირეს, რუსებმა საზღვარი გადმოსწიეს, ნაცებმა აშკარა პროვოკაციები მიიღეს, ლარის ორმოცმა ჩაიარა, ჩვენ კიდევ ვსხედვართ და მამულიჩას კოკაინზე და ებიარდზე უკეთესია სექსი თუ საბჭოთა კინოში, იმას ვარჩევთ...

ორგანიზაციები, რომლებმაც თანხიანი „მოლანგების“ პერიოდში მაინც დადამინც კეთილად ვერ დაგვაბასოვრეს თავი. სწორედ ამიტომ მათ საჭირო და აუცილებელი პრეზიდენტის ტრიბუნა, ტრიბუნა, რომელიც თავისი ლეგიტიმაციით ყველაზე მაღალია საქართველოში.

ტრიბუნა კი ხალხისთვის საჭირობოროტო საკითხებისთვის ცარიელია.

ცარიელია საბიუჯეტო თანხების უაზროდ ხარჯვისა და ანტისახელმწიფოებრივი მედიასაშუალებების დაფინანსების საკითხის წამოწევისთვის.

ვი ვაბრძობ. ვისხდეთ ასე და ვარჩიოთ. ვარჩიოთ, ვივადოთ, ვივადოთ, შევდეგ კი კვლავ ვივადოთ ხათრით გაგაკეთოთ არჩევანი. ჩვენ ხომ ხათრისი ხალხი ვართ!

გიგა ბაბრძიძე

ხათრისი ხალხი



ბის, გატარების და მოხმარების ტარიფების გააძვირების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე კომისია სამი საშუალო დღის ვადაში შეისწავლის სს „თელასის“ მიერ წარმოდგენილ სატარიფო განაცხადს. იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო განაცხადი სრულყოფილია და წარმოდგენილი, კომისია დაინტერესდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებასა და კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნების საჯაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტაციას“.

ამ „გადაუდებელ“ ღონისძიებასთან დაკავშირებით საზოგადოებას ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ პროტესტის გამოხატვაზე ფაქტობრივად ხელი აქვს ჩაქნეული. ხელი ჩაიქნია მას შემდეგ, როცა დაინახა, რომ თემას აპროტესტებენ ხალხისათვის არცთუ ისე მისაღები პოლიტიკური

დენის ტარიფი გააძვირეს, რუსებმა საზღვარი გადმოსწიეს, ნაცებმა აშკარა პროვოკაციებზე მიიღეს, ლარის ორმოცმა ჩაიარა, ჩვენ კიდევ ვსხედვართ და მამულიჩას კოკაინზე და ებიარდზე უკეთესია სექსი თუ საბჭოთა კინოში, იმას ვარჩევთ...

ორგანიზაციები, რომლებმაც თანხიანი „მოლანგების“ პერიოდში მაინც დადამინც კეთილად ვერ დაგვაბასოვრეს თავი. სწორედ ამიტომ მათ საჭირო და აუცილებელი პრეზიდენტის ტრიბუნა, ტრიბუნა, რომელიც თავისი ლეგიტიმაციით ყველაზე მაღალია საქართველოში.

ტრიბუნა კი ხალხისთვის საჭირობოროტო საკითხებისთვის ცარიელია.

ცარიელია საბიუჯეტო თანხების უაზროდ ხარჯვისა და ანტისახელმწიფოებრივი მედიასაშუალებების დაფინანსების საკითხის წამოწევისთვის.

„რუსთავი-2“ - ტროას სხენი



ფასეულობებისკენ და გვირგვინი გვეჯეროდეს, სწორ ნაბიჯებს გადადგამთ აქეთკენო. ეს იქნებოდა სწორედ დიპლომატიური შეფასება საქართველოს ხელისუფლებისა და არა ის კატეგორიული, სიხარულით გავიმეორებ, უპირობო შეფასება ხელისუფლების ევროპულ ინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯებისა.

კაცი გვეუბნება, რეალური ლიდერები ხართო, დამიჯერეთ ეს კომპლიმენტი არ გახლავთ, ეს რეალობააო, თქვენ მსოფლიო სოლიდარობის მაგალითი ბრძანდებითო, მოქმედი ხელისუფლება არჩეული კურსის ერთგულიაო. მეტი რაღა უნდა ეთქვა იმ ოჯახსაშენებულს. იქნებ თქვენთან უნდა გაველოწინასწარი კონსულტაციები, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ის დრო ნავეიდა, როცა ქალბატონ ეკა ხოფერიას კარნახობდით როგორ უნდა შეფუთულიყო თქვენი ბინძური შავბუნელი საქმეები. არადა, გასაგებია თქვენი უგუნებობის მიზეზი. ჩვენმა სტუმარმა, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვა თქვენს უსუსურ მცდელობებს თეთრი შავად მოგაჩვენოთ და ბრე და ასლი შემოგაჩვენოთ ჭეშმარიტებად.

აი ასე გაისარჯა „რუსთავი-2“ მეტად საპატიო სტუმრის ვიზიტის გაშუქებისას, უფრო სწორად, ასე შეირცხვინა პირი და კიდევ ერთხელ დაადასტურა ბიბლიური სიბრძნე, რომლის თანახმადაც, არ ძალუფლს ხენესა ხესა ტკბილთა ნაყოფთა გამოსხმა.

მე კი ჩემს თანამემამულეებს ძველი ტროელები მინდა გავახსენო, გავახსენო ლაოკონი, რომელიც დაჩოქილი ევედრებოდა თანამომკმეთ მტრისგან დატოვებული ცხენი არ შეეყვანათ ქალაქში.

არ დაუჯერეს ტროელებმა თავიანთ უერთგულებს მისას...

ქართველებო! „რუსთავი-2“ ტროას ცხენია, გულდადარა, გულხენეში ცხენი, თქვენ ეს არაერთხელ გამოგიცდიათ, მოერიდეთ მას, ბოლოს სანანებლად რომ არ გაგვიხდეს საქმე.

ზაალ კოტკოველი.

P. S. არ მინდა, ვინმემ დღეს მოქმედი ხელისუფლების აპოლოგიატივად ჩამთვალეს. მათ მიმართ კითხვებისა და პრეტენზიების მეტი რა გამაჩნია, მაგრამ სიმართლე სიმართლეა და მისი დაცვა ყველას ევალება, მათ შორის ისეთ ოდიოზურ ორგანიზაციას, როგორც „რუსთავი ორია“.

ზ. ბ.

ამდღემს ჰკითხეს, წელი რატომ გაქცემრუდეთ და სწორი რაღა მაქვსო. ქართველი ხალხის წიაღში შობილი ეს ანდაზა კიდევ ერთი დასტურია ჩვენი სიბრძნისა, გონიერებისა, მასშტაბური აზროვნებისა.

ახლა ანდაზაში აქლემი ჩაანაცვლეთ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ით, და არც არაფერი შეიცვლება.

სამწუხაროდ, ეს ის ტელეკომპანიაა, სადაც ახალ ამბებს თვითონ აკეთებენ და ამის საჯაროდ გაცხადებას ახლო წარსულში არც კი ერიდებოდნენ. ყინჩად, ურცხვად ინერებოდა მათი საინფორმაციო გამოშვებისას, ახალი ამბები კეთებდა აქ და იმასაც ვერ ხვდებოდნენ საკუთარ უზუნებობას ნებსით როგორ ააშკარავებდნენ.

აბა, რა უნდა მოსთხოვოს კაცმა ასეთ „დამოუკიდებელ, თავისთავად“ ტელეკომპანიას, რომლის ლამის ყველა გადაცემა ვინროკლანური ინტერესების დაცვას ემსახურება და არაფერ სხვას.

ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, ეს საკმაოდ ვრცელი თემაა და შორს ნაგვიყვანდა. თქვენმა მონამორჩილმა კალამს ხელი მხოლოდ იმიტომ მოჰკიდა, რომ ორშაბათის „კურიერმა“ საკუთარ სტანდარტებსაც კი აჯობა და ლამის შარვლიდან ამომძვრალმა მისთვის დამახასიათებელი „ობიექტურობით“ გააშუქა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის დონად ტუსკის ვიზიტი ჩვენს სამშობლოში.

ჯერ იყო და დავიბენი „კურიერის“ ყურებისას. ჩვენი საპატივცემულო სტუმარი ხან ევროკავშირის პრეზიდენტად მოიხსენიეს, ხან ევროპის საბჭოს პრეზიდენტად და ბოლოს ევროპული საბჭოს პრეზიდენტობა აკმარეს. ტელეკომპანია, რომელსაც პრეტენზია აქვს სოლიდურობაზე, უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს ასეთ მნიშვნელოვან დეტალებს.

კიდევ კარგი, რომ ბატონი ტუსკი ტოლერანტობით ცნობილი პიროვნებაა და გულთან ახლოს არ მიიტანს თავისი თანამდებობის უდიერად მოხსენიებას.

მთავარი ჩემთვის, ერთი რიგითი ქართველისთვის, და, მე მგონი, სრულიად საქართველოსთვის, ის გახლდათ, რაც დონალდ ტუსკიმ საქართველოს პრეზიდენტთან, ბატონ გიორგი მარგველაშვილთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა: საქართველო რეალური ლიდერია აღმოსავლეთ პარტნიორობაში და მერწმუნეთ ეს არ გახლავთ კომპლიმენტი, ეს რეალობაა...

ბატონმა ტუსკიმ ისიც განაცხადა, რომ საქართველო მსოფლიო სოლიდარობის მაგალითია, რომ საქართველოს მოქმედი ხელისუფლება არჩეული კურსის ერთგულია.

მსგავსი რამ, კარგა ხანია, არ მომის-

მენია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან და გარწმუნებთ, ალელვებული, სუნთქვაშეკრული შევცქეროდი ცივილიზებული მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერის გამოსვლას.

ეს პრესკონფერენცია ორშაბათს, საღამოს 18 საათზე შედგა საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში და მან ის იმედი გაუღვივა ბენჯის ხიდზე მავალ ჩემსა და თქვენს სამშობლოს, რომ ცივილიზებული მსოფლიო უფრო მეტი ყურადღებით მიუდგება ქრისტესავით ვგვარცმული ქვეყნის უმწვავეს გამოწვევებს და დააფასებს სწორედ იმ გარემოებას, რომ, კიდევ ერთხელ სიაშოვნებით გავიმეორებ, საქართველოს მოქმედი ხელისუფლება არჩეული კურსის ერთგულია.

ვიმეორებ, ბატონმა ტუსკიმ ეს სიტყვები 18 საათზე გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა.

მისი გამოსვლა ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს უნდა გახარებოდა, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს მომავალი, მისი წინსვლა და განვითარება.

ცხრასაათიან კურიერში კი საოცრება მოხდა. წასვლით სად წაუვიდოდნენ ბატონ ტუსკის ვიზიტს, მაგრამ პრესკონფერენციის მიმოხილვაში სადაღაც აორთქლდა ისეთი მნიშვნელოვანი გამონათქვამი, როგორცაა: საქართველო რეალური ლიდერია აღმოსავლეთ პარტნიორობაში, დამერწმუნეთ, ეს არ გახლავთ კომპლიმენტი, ეს რეალობაა... „კურიერის“

ბაბაჭუა ხელმძღვანელობამ არც იმ ფრაზების გამოკრება იკადრა, რომლებიც საკუთარი ქვეყნის გულშემატკივარ ტელეარხს ასჯერ და ათასჯერ უნდა ეტრიალებინა, კერძოდ, ის, რომ „საქართველო მსოფლიო სოლიდარობის მაგალითია“ და „საქართველოს მოქმედი ხელისუფლება არჩეული კურსის ერთგულია“.

არა და არა. „კურიერმა“ მხოლოდ პერიფრაზირება მოახდინა ტუსკის გამოსვლისას: საქართველო პროგრამის მონიწვე ქვეყანააო. სად მონიწვე და სად ხაზგასმით, კატეგორიულად ნათქვამი ფრაზა, რომ საქართველო რეალური ლიდერია აღმოსავლეთ პარტნიორობისა და რომ ეს კომპლიმენტი კი არ გახლავთ, ეს რეალობააო.

ასე გააშუქა ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანი ვიზიტი რუსთაველი ოროსნების ნაქებმა საინფორმაციო პროგრამამ. სამაგიეროდ, ეკრანზე „შემთხვევით“ ვიხილეთ ნირნამსდარი გიგა ბოკერიასა და დავით ბაქრაძის დამუყავებული სახეები, რომლებიც მათთვის უჩვეული უნიათობით გვიმტკიცებდნენ, რომ დონალდ ტუსკიმ მხოლოდ დიპლომატიური დელიკატურობის გამო ახსენა დადებითად საქართველოს ხელისუფლება. მათთან კავთისა თუ პაექრობის არავითარი სურვილი არ გამაჩნია, მაგრამ ერთს კი შევნიშნავდი მორიდებით: ევროპული საბჭოს პრეზიდენტი თქვენს ჭკუაზე რომ იყოს, ბატონებო, იტყობა, ევროკავშირი მიესალმება თქვენს ნაბიჯებს დასავლური

აპირ-იპირი

მიმდინარეობს თითნულად

სათხილამურო კარკარის მენეჯლობა

მისტიის მუნიციპალიტეტში თეთნულდის სათხილამურო კურორტს სამინისტროს შ.პ.ს. „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“, კომპანია „თეთნულდ დეველოპმენტის“ დაკვეთით აშენებს. სამინისტროს ინფორმაციით, პირველ ეტაპზე, შენდება 5 საბაგრო სადგური, საერთო სიგრძით – 5,9 კმ; ეწყობა, ჯამში, 18 სასარიალო ტრასა, საერთო სიგრძით – 25 კმ; ასევე – წყალსადენი, წყალარინების, ელექტრომომარაგების, მთის დრენაჟის სისტემები, ინფრასტრუქტურული ნაგებობები, ადმინისტრაციული შენობები, პარკინგი და სხვა აუცილებელი ობიექტები.

სამინისტროს განცხადებით, შ.პ.ს. „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ თეთნულდზე უკვე დასრულა ტყე-კავვის სამუშაოები; მოაპირკეთა სასარიალო ტრასების 75%; განასორციელა მინის სამუშაოების 75%; აშენებს ელექტროქვესადგურს, წყლის სათავე ნაგებობასა და წყლის რეზერვუარებს. თეთნულდი არის უნიკალური სამთო კურორტი, რომელიც ოთხივე სეზონის განმავლობაში აქტიურია. აქ შესაძლებელია ალპინიზმით, ჯომარდობით, ცხენოსნობით, პარაპლანერობით, თხილამურებზე, სნოუბორდზე სრიალით, სამთო ტურიზმით დაკავება.

მათივე თქმით, თეთნულდს ექნება ამიერკავკასიაში როგორც ყველაზე გრძელი – 9,5 კმ სიგრძის, ისე ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის მქონე – 1,7 კმ სასარიალო ტრასა. სასარიალო პერიოდი, წლის განმავლობაში, 6-7 თვეს შეადგენს.

წყალმომარაგება გაუმჯობესდება

რამბონშილი განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ და მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, თეთნულდში წყალმომარა-

გების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ლირებულება 2 მილიონ ლარზე მეტია.

მისი დასრულების შემდეგ თეთრწყაროში მცხოვრები 2000 ოჯახი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს, ამასთანავე შემცირდება წყლის დანაკარგებიც. მიმდინარე სამუშაოები საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა ნიკოლოზ ქიზიყურაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და მშენებლობის ხარისხი შეამოწმა.

წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შედეგად თეთრწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 8000-ზე მეტ ადამიანს წყლის გრაფიკისა და წყლის ხარისხის პრობლემა მოუგვარდება. შემცირდება წყლის დანაკარგებიც. პროექტის ფარგლებში მოხდება: ქალაქის შიდა გამანაწილებელი ქსელების ამორტიზებული მონაკვეთების რეაბილიტაცია, წყალსადენის ჭებითა და ჩამქვტ-მარეგულირებელი არმატურით აღჭურვა, არსებული საქლორატორო შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია და რეზერვუარების დამაკავშირებელი მილსადენის რეაბილიტაცია. პროექტი, რომლის ფარგლებშიც 30 ადამიანი დასაქმდა, 2016 წლის დასაწყისში დასრულდება.

ახალი კულტურის კარა ჩოხატაურში

ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი კუჭავამ და შპს „ვექტორის“ დირექტორმა სოსო მამულაიშვილმა მშენებლობის ხელშეკრულებას ოფიციალურად მოაწერეს ხელი. აღნიშნულ ადგილზე კულტურის სახლის მშენებლობა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაიწყო. წინა ხელისუფლებამ დაუსრულებელი შენობა დაანგრია, მაგრამ ახლის აშენება ვეღარ შეძლო. დღევანდელი ხელისუფლების პერიოდში კი, კულტურის ახალი სახლის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა, რომელიც მომავალი წლის სექტემბერში დასრულდება.

გუბერნატორმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდებარე ის ობიექტები დაათვალიერა, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ამიერიდან ჩოხატაურელი კეთილმოწყობილი აგარაული ბაზრით 2015 წლის ოქტომბრისთვის დასაწყისიდან ისარგებლებენ. ჩოხატაურის აგარაული ბაზრის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „ზაზო“ გრაფიკის მიხედვით ასრულებს. ტერიტორიაზე ასფალტის ახალი საფარი დაიგება, მოეწყობა დახლები და როგორც მოვაჭრეებისთვის, ისე მყიდველებისთვის კომფორტული გარემო შეიქმნება.

მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე, დაათვალიერეს ბორის პაიჭაძის სახელობის განახლებული მუნიციპალური სტადიონი, სამხატვრო გალერის მშენებლობა და დაბა ჩოხატაურის ქუჩების (ჩიჩუას, გოგებაშვილის, ჯალალანის, ფიროსმანის, გოგებერიძის) ბეტონის საფარისა და სანიტარულ არხების მოწყობის სამუშაოები. შპს „იმერეთი 2014“ ახალ გალერეას წელს, სექტემბერში დაასრულებს.





17 ივლისს გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციამ საკუთარ ვებგვერდზე ივლისის თვის მონაცემებს შორის გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის შესახებ, რომელიც ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეგზავნა მსოფლიოს 50 ქვეყნის 2000-ზე მეტ გამომცემლობას, წიგნის გამომცემელთა ასოციაციებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს.

საპარტიველოში დამოუკიდებელი საგამომცემლო სექტორი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში, საკმაოდ სწრაფად და წინააღმდეგობრივად იწყებს განვითარებას.

1995 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ და იმავე წელს საქართველო შეუერთდა ბერნის კონვენციას. კანონში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ რამდენჯერმე შეიტანეს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და ამ ეტაპზე ის სრულად შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციებს, ითვალისწინებს საავტორო უფლებების ხანგრძლივობას (70 წელი) და რეპროდუქციების უფლებებს. საქართველო 2000 წელს გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, რითაც მიიღო ორგანიზაციის რეგულაციები საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. 1997 წელს საქართველოში დაარსდა ISBN-ის სააგენტო.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს მთავარი წიგნის საცავია, სადაც 3.6 მილიონი წიგნი ინახება; ამასთან ერთად ქვეყანაში არსებობს რეგიონული და მცირე ზომის ბიბლიოთეკების ქსელი.

1998 წელს დაარსდა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია (GPBA). ასოციაციის მიერ ინიცირებული ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი პროექტი თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი იყო, რომელიც უკვე ჩვიდმეტი წელია საქართველოს დედაქალაქში მაისის ბოლოს ტარდება. წიგნის ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღონისძიებაა, რომელსაც ყოველწლიურად 70,000-მდე დამთვალიერებელი სტუმრობს.

ასოციაციის ორგანიზებით საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება 23 აპრილი – წიგნისა და სავაჭრო უფლებების საერთაშორისო დღე, იგეგმება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები (წიგნების გამოფენა-გაყიდვა, ახალი წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები ავტორებთან, საჯარო კითხვა, საბავშვო ღონისძიებები და სხვა).

წიგნის ბაზრის მიმდინარე მომენტები

2012-2013 წლებში, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ საერთაშორისო პროექტ „წიგნის პლატფორმის“ ფარგლებში განხორციელდა კვლევა – „საგამომცემლო საქმიანობა და წიგნით ვაჭრობა საქართველოში“. კვლევამ წარმოაჩინა წიგნის სექტორის მნიშვნელოვანი და სტაბილური ზრდა გასული 10 წლის განმავლობაში. სექტორის წლიური ზრდა 2007 წლის შემდეგ, 6 მილიონი აშშ დოლარიდან 30 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ყოველწლიურად გაყიდული წიგნების რაოდენობა 2.3 მილიონიდან 8.5 მილიონამდე გაზრდილი.

წიგნის კითხვა უფრო და უფრო პოპულარული ხდება ახალგაზრდებში, თუმცა, წიგნის ბაზარი მაინც საკმაოდ მცირეა: წიგნის საშუალო ტირაჟი მხოლოდ 1000-2000 ეგზემპლარს შეადგენს. ყველაზე პოპულარული საბავშვო გამოცემებია, რომელსაც თარგმნილი ლიტერატურა მოსდევს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველაზე მაღალი გაყიდვების მაჩვენებელი სახელმძღვანელოებს ჰქონდა, მაგრამ 2013 წლიდან სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა.

საქართველოში 70 მოქმედი გამომცემლობაა, რომელთა ძირითადი ნაწილიც მცირე სანარმოებს წარმოადგენს. გამომცემლობათა 70%-ს 10-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავს დასაქმებული, ხოლო 50 %-ის წლიური შემოსავალი 50,000 ლარს არ აღემატება (23,000 აშშ დოლარი).

გამომცემლობათა გაყიდვების დაახლოებით 90% პირდაპირ წიგნის გამავრცელებელთა (51%) და სადისტრიბუციო ქსელების (38%) საშუალებით ხორციელდება, ელექტრონული გაყიდვები კი ბაზარზე მხოლოდ 1% წარმოადგენს. საქართველოში არსებობს ერთი, დიდი წიგნის მაღაზიათა ქსელი და ბევრი მცირე, კერძო მაღაზია, რომელთა 36 %-ს მხოლოდ 5 ან ნაკლები თანამშრომელი ჰყავს, 43 %-ის თანამშრომელთა რაოდენობა კი 6-დან 10-მდეა. საცალო გაყიდვებზე ორიენტირებული კომპანიების უმეტესობა არ ასოცირდება რომელიმე ცალკეულ გამომცემლობასთან. დისტრიბუციის ლიზინგების საშუალო ზღვარი განსაზღვრულია დაახლოებით 40%-ით. წიგნის გამავრცელებლები გამომცემლობებთან ანგარიშსწორებას ძირითადად წიგნების გაყიდვის შემდეგ ახორციელებენ.

საბაზრობა საქმიანობა საქართველოში

ქართულ ბაზარზე წიგნის რეალიზაცია ხორციელდება:

- წიგნის მაღაზიებში – 80%
- სატელეფონო მარკეტინგით – 10%
- სუპერმარკეტებში – 6%
- ელექტრონულად, საცალო გაყიდვების სახით – 4%

საქართველოში ელექტრონული წიგნების ორი მაღაზიაა, რომლებიც მკითხველს 2,600 დასახელების ნაწარმებს სთავაზობს. გამომცემლობები ორივე მათგანთან აქტიურად თანამშრომლობენ. გამომცემლობები თავად არ ქმნიან ელექტრონული წიგნის ფორმატებს, ისინი pdf ფაილით აგზავნიან გამოცემულ ნა-



წარმოებებს, რომლებსაც უკვე თავად ელექტრონული გაყიდვების კომპანიები აქცივენ ელექტრონულ წიგნებად.

ერთ-ერთი კომპანიის გაყიდვების მაჩვენებელი წინა წელთან მიმართებაში 50 %-ით არის გაზრდილი, ხოლო მეორე კომპანიის მონაცემებით, მათ ვებ-გვერდზე რეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობამ ერთ წელიწადში 85%-ით მოიმატა და 2014 წლის შემოსავლების 90 %-ის გამოუმუშავებ 2015 წლის პირველ 2 კვარტალში განხორციელდა. ამჟამად რუსული ელექტრონული წიგნების კომპანია „Bookmate“ აწარმოებს ქართულ გამომცემლობებთან მოლაპარაკებებს საქართველოს ბაზარზე შემოსვლის მიზნით. ენობრივი შეზღუდვების გამო ქართული ბეჭდური თუ ელექტრონული წიგნები არ არის განთავსებული Amazon.com-ზე.

გამომცემლობები სექტორში: მკარგი, კონტრაფაქციური გამომცემლობები, საავტორო უფლებების დაცვა

საპარტიველოში ხშირად დასტურდება ინტერნეტის საშუალებით წიგნებით უკანონო ვაჭრობის შემთხვევები (წიგნების pdf ფაილები იტვირთება კერძო ვებგვერდებსა და ფეისბუქის ჯგუფებში, საიდანაც ყველას აქვს მათი გადმოწერის შესაძლებლობა), ასევე შავ ბაზარზე ხორციელდება გაყიდვებითი წიგნებით ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ, პრაქტიკაში ეს რეგულაციები არ მოქმედებს, ხოლო სახელომწიფო არ ატარებს დამატებით ღონისძიებებს სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად. ბოლო დროს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ მჭიდრო თანამ-

შრომლობა დაიწყო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – „საქპატენტთან“. თანამშრომლობის ფარგლებში ტარდება სემინარები გამომცემლებისათვის, სადაც დეტალურად განიხილება, თუ რა პრევენციული ზომები უნდა მიიღონ მათ და რა გზებით უნდა ებრძოლონ გაყალბებულ გამოცემებს. საქართველოში აუცილებელია ასევე წიგნის კანონის არსებობა, რომელიც სექტორისთვის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ერთად მოუყრიდა თავს და დაარეგულირებდა.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი სავალდებულო ეგზემპლარების შესახებ, გამომცემელთა ასოციაციასა და გამომცემლობებთან წინასწარი მოლაპარაკებების გარეშე. აღნიშნული კანონი უკვე ძალაშია შესული, რადგან იქამდე დიდი ხნით ადრე მზადდებოდა, ვიდრე გამომცემლები ამის შესახებ შეიტყობდნენ.

საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, გარდა ახლად გამოცემული ყოველი წიგნის 3 ეგზემპლარისა (ეს ძველი რეგულაციის მიხედვითაც ხორციელდებოდა), ყველა გამომცემლობა ვალდებულია, გადასცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას წიგნების ელექტრონული ვერსიებიც. ქართველი გამომცემლების უმეტესობა წინააღმდეგი იყო ასეთი რეგულაციის მიღებისა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. მასშტაბური პროტესტის მიზეზი გახდა სასკოლო სახელმძღვანელოების სექტორში არსებული არასტაბილური მდგომარეობა.

მნიშვნელოვანი საკითხი: სასკოლო სახელმძღვანელოები

საპარტიველოში წიგნის სექტორი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას 2013 წელს სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც განათლების სამინისტრომ გამომცემლობებთან წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე დაბეჭდა და უფასოდ დაარიგა სასკოლო სახელმძღვანელოები 2013-2014 სასწავლო წლისათვის. გამომცემლობები მზად იყვნენ, მხარი დაეჭირათ უფასო სახელმძღვანელოების პროექტისათვის, მაგრამ არა მათი საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების უფლების უხეში და ძალადობრივი დარღვევის გზით.

2013 წლამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სასკოლო პროგრამის შემუშავების პროცესში თანამშრომლობდა გამომცემლობებთან და ისინი სამინისტროს წარუდგენდნენ სახელმძღვანელოებს შეფასებისათვის. მხოლოდ სამინისტროს ოფიციალური დასტურის შემდეგ ჰქონდათ გამომცემლობებს უფლება, დაებეჭდათ სახელმძღვანელოები და წარედგინათ ისინი სკოლის მასწავლებელთათვის შეფასებისა და შერჩევის მიზნით. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში ის ფაქტი იყო, რომ საქართველოს საგამომცემლო ბაზარზე ყველა საგანში არსებობდა ალტერნატიული სახელმძღვანელოები. სკოლებს საშუალება ეძლეოდათ, შეერჩიათ ისინი, რის შემდეგაც მოსწავლეთა მშობლები იძენდნენ სახელმძღვანელოებს საცალო ბაზარზე.

2010 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო გამომცემლობებისაგან სახელმძღვანელოების შექმნა სოციალურად დაუცველ მოსწავლეთათვის საბითუმო ფასად (მაქსიმუმ 4.5 ევრო). თუმცა 2013 წელს სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვეტილება მიიღო, თავად დაებეჭდა და გაეცემებინა სასკოლო სახელმძღვანელოები გამომცემლობებთან და ავტორებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, რომლებიც საავტორო უფლებების კანონიერი მფლობელები არიან. ასეთი გადაწყვეტილებით სახელმწიფომ უფლებებელყო მათი საავტორო უფლებები და შემოსავლის გარეშე დატოვა როგორც ავტორები, ისე გამომცემლები.

№. 9 გვ.



შენ ხარ სპორტი და
 ხარ სინარული!
 ხარ სიცოცხლის
 დიდი ლამპარი,
 მოულოდნელად ანთებული
 ხრიოკ მინდორში,
 სადაც ბრძოლაა გამართული
 არსებობისთვის,
 ხარ მოვლენილი, ვით მოციქული
 გარდასულ დროთა,
 როცა ღიმილით იყო ფენილი
 კაცობრიობა...



შენ ხარ სპორტი და
 ხარ სილამაზე!
 ხარ კირითხურთ
 ადამიანის სისხლის და ხორცის,
 რომელიც შენით
 მშვენიერდება
 და არ არსებობს
 სილამაზე თვინიერ
 შენი თანადგომის,
 რადგან შენა ხარ სწორუბოვარი,
 დიდოსტატი წონასწორობის
 და ჰარმონიის...

ეს პრესტიჟია საქართველოსი!

შენ ხარ სპორტი და ხარ სიმამაცე!
 და მთელი აზრი ადამიანის
 ძალთანმევისა
 ერთ სიტყვაშია მოქცეული
 და სიტყვა იგი არს:
 „შემართება“. შემართებისთვის,
 მხოლოდ და მხოლოდ
 შემართებისთვის, სხვად არად უნდა
 ადამიანს ძალი და ღონე, სიმამაცე
 კი, შენით შობილი
 სიმამაცე, განსხვავდება
 შლეგთაუმიზნო სიმამაცისგან,
 გონიერია ეგ სიმამაცე...



შენ ხარ სპორტი და
 შენ ხარ ღირსება!
 ყველაფერი, რაც შენ მოეცი,
 რასაც შენ აძლევ ადამიანებს,
 მოპოვებული არის
 მხოლოდ ღირსეულ ბრძოლით,
 გარნა იგი, ვინაც იცრუა,
 ვინც არ დაინდო მოყვასი
 თვისი, თავს ვერ დააღწევს
 სინდისის ქენჯნას და
 სიკვდილამდე იქნება ასე,
 ლაფდასნმული და შერცხენილი.
 ავირ დე კუპარტანი (თარგმანა პაატა ნაცვლიშვილი)



ევროპის ასალგაზრდობის ჯაფხულის ოლიმპიური ფესტივალების ისტორიიდან

ევროპის ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტის ჟაკ როგის ინიციატივით 1991 წელს საფუძველი ჩაეყარა ევროპის ასალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებს, რომელსაც 2000 წლიდან ოლიმპიური ფესტივალი ეწოდება. ზამთარ-ზაფხულ მსგავსი შეჯიბრებები ეწყობა ორ წელიწადში ერთხელ. მათში ქართველი სპორტსმენები 1993 წლიდან მონაწილეობენ და ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ჩვენი ათლეტების დებიუტი ოლიმპიური ეგიდით გამართულ ასპარეზობებში. დღემდე თერთმეტ ფესტივალში 289 გოგონამ და ვაჟმა მოსინჯა ძალები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მათ მოიპოვეს 58 მედალი, მათ შორის 17-17 ოქრო-ვერცხლისა და 24 ბრინჯაოსი. დარწმუნებულნი ვართ, რომ შინაური კედლების თანადგომით ჩვენი სპორტსმენები წინა წლების მონაგარს საგრძნობლად გაზრდიან.

ახლა კი წლების მიხედვით ფესტივალების ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს შემოგთავაზებთ:



ჯარჯი ზვიდაური

I ფესტივალი, ბრიუსელი, ბელგია, 1991 წელი

მონაწილეობდა ევროპის 33 ქვეყნის 1200 სპორტსმენი. საქართველოს წარმომადგენლებს არ უასპარეზიათ.

II ფესტივალი, ვალკენსპაარდი, პოლანდია, 1993 წელი, 3-9 ივლისი

43 ქვეყანა, 1587 სპორტსმენი.

საქართველოდან - 59 სპორტსმენი, სპორტის 7 სახეობა: მძლეოსნობა, ძიუდო, ჩოგბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ფეხბურთი, ცურვა, ველოსპორტი.

მოპოვებულია 2 მედალი: თითო ვერცხლი და ბრინჯაო.

- 1. ივერი ჯიქურაული (ძიუდო, II),
- 2. ლევან ციგრიაშვილი (ძიუდო, III).

III ფესტივალი, ბათი, ინგლისი.



ლაშა გუჯეჯიანი

1995 წელი, 9-14 ივლისი. 47 ქვეყანა, 1816 სპორტსმენი.

საქართველოდან - 20 სპორტსმენი, სპორტის 6 სახეობა: მძლეოსნობა, ძიუდო, ჩოგბურთი, ველოსპორტი, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში. 5 მედალი: 1 ოქრო, 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო.

- 1. დავით ჯავახიშვილი (ძიუდო, I),
- 2. ფირუზ ტყეშელაშვილი (ძიუდო, II),
- 3. ლევან სირაძე (ძიუდო, III),
- 4. გიორგი გუგავა (ძიუდო, III),
- 5. ლევან სულხანიშვილი (ძიუდო, III).

IV ფესტივალი, ლისაბონი, პორტუგალია.

1997 წელი, 18-24 ივლისი. 47 ქვეყანა, 1842 სპორტსმენი.



ეკა ბორბოძე



ზაზა რეხვიაშვილი

7 მედალი: 1 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო.

- 1. ზაზა რეხვიაშვილი (ძიუდო, I),
- 2. ზვიად ხანჯალიაშვილი (ძიუდო, II),
- 3. დათო სებისკვერაცე (ძიუდო, II),
- 4. გიორგი თორთლაძე (ძიუდო, II),
- 5. მინდია ბოდაველი (ძიუდო, III),
- 6. სოსო მეზერიშვილი (ძიუდო, III),
- 7. ჯაბა გოგიშვილი (ძიუდო, III).

VI ფესტივალი, მურსია, ესპანეთი.

2001 წელი, 10-16 ივლისი. 46 ქვეყანა, 1675 სპორტსმენი.

საქართველოდან - 14 სპორტსმენი, სპორტის 4 სახეობა: მძლეოსნობა, ძიუდო, ჩოგბურთი, ცურვა. 6 მედალი: 4 ოქრო, 2 ბრინჯაო.

- 1. ლაშა გუჯეჯიანი (ძიუდო, I),
- 2. ჯარჯი ზვიადაური (ძიუდო, I),
- 3. გრიგოლ შინჯიკაშვილი (ძიუდო, I),
- 4. მინდია ხომიზური (ძიუდო, I),
- 5. თევდორე ებელაშვილი (ძიუდო, III),
- 6. ზურაბ გიგაია (მძლეოსნობა, III).

VII ფესტივალი, პარიზი, საფრანგეთი.

2003 წელი, 26 ივლისი - 2 აგვისტო. 48 ქვეყანა, 1869 სპორტსმენი.

საქართველოდან - 15 სპორტსმენი, სპორტის 4 სახეობა: მძლეოსნობა, ძიუდო, ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში.



ეკა ღვინიაშვილი

საქართველოდან - 36 სპორტსმენი, სპორტის 4 სახეობა: მძლეოსნობა, ძიუდო, ველოსპორტი, ფეხბურთი. 4 მედალი: 1 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.

- 1. ფეხბურთის ნაკრები (I ადგილი): ზ. ჯოლოსავა, ი. დევიძე, შ. ჯოლოსავა, ვ. აბრამიძე, ე. საჯია, ლ. კაკაშვილი, ო. გველესიანი, ლ. კორლალიძე, ვ. გაგუა, დ. დილმელაშვილი, გ. დეკანოსიძე, შ. აფხაზავა, ჯ. სიამაშვილი, ა. რომანიძე, ს. ხუროძე, ლ. ჯაკობია.
- 2. ვანო ნადირაშვილი (ძიუდო, II),
- 3. გრიგოლ მამრიკიშვილი (ძიუდო, III),
- 4. გელა ბარათაშვილი (ძიუდო, III).

V ფესტივალი, ესპერა, დანია.

1999 წელი, 10-16 ივლისი. 48 ქვეყანა, 1876 სპორტსმენი.

საქართველოდან - 14 სპორტსმენი, სპორტის 4 სახეობა: მძლეოსნობა, ძიუდო, ჩოგბურთი, ველოსპორტი.

7 მედალი: 2 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.

1. ლაშა ტვილიდიანი (ძიუდო, I),
2. მამუკა ტულუში (მძლეოსნობა, I),
3. ბექა ბექაური (ძიუდო, II),
4. ლევან გორგაძე (ძიუდო, II),
5. მალხაზ ნიჟარაძე (ძიუდო, II),
6. საბა გაგაშელიშვილი (ძიუდო, III),
7. გრიგოლ შოშიაშვილი (ძიუდო, III).

VIII ფანჯივალი, ლინიანო, იტალია.
2005 წელი, 3-8 ივლისი.
48 ქვეყანა, 2082 სპორტსმენი.

საქართველოდან - 31 სპორტსმენი, სპორტის 6 სახეობა: მძლეოსნობა, ძიუდო, სპორტული ტანვარჯიში, ფეხბურთი, ჩოგბურთი, კანოე-კაიაკი.
4 მედალი: 3 ოქრო, 1 ბრინჯაო.

1. ფეხბურთის ნაკრები (I ადგილი): დ. ჯანელიძე, მ. ბუალავა, ი. შარანგია, რ. წინამძღვრიშვილი, გ. თომაშვილი, მ. დაუშვილი, გ. ხიდეშელი, ნ. გოგონია, რ. თევდორაძე, ლ. დაუთაშვილი, გ. ნიკოლაიშვილი, ა. ბენაშვილი, ი. ძარია, გ. ხუმარაშვილი, ზ. გვაძაბია, გ. ელბაქიძე.
2. პაატა მერებაშვილი (ძიუდო, I),
3. არსენ მაჭარაშვილი (ძიუდო, I),
4. რობერტ მშვიდლობაძე (ძიუდო, III).

IX ფანჯივალი, ბალგაღი, სერბეთი.
2007 წელი, 3-8 ივლისი.
49 ქვეყანა, 2082 სპორტსმენი.

საქართველოდან - 27 სპორტსმენი, სპორტის 7 სახეობა: მძლეოსნობა, ძიუდო, სპორტული ტანვარჯიში, ჩოგბურთი, ველოსპორტი, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი.
6 მედალი: 2 ოქრო, 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.

1. ზებედა რეხვიაშვილი (ძიუდო, I),
2. ეკა გორგაძე, გიორგი ხშიადაშვილი (ჩოგბურთი, I),
3. ზვიად კაპანაძე (ძიუდო, II),
4. ეკა გორგაძე (ჩოგბურთი, II),
5. გიორგი მერმანიშვილი (ძიუდო, III),
6. ოთარ კაიდარაშვილი (ძიუდო, III).

X ფანჯივალი, ტამპერე, ფინეთი.
2009 წელი, 19-24 ივლისი.
49 ქვეყანა, 2115 სპორტსმენი.

საქართველოდან - 24 სპორტსმენი, სპორტის 5 სახეობა: ძიუდო, ცურვა, ჩოგბურთი, სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა.
3 მედალი: 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო.

1. ბექა ტულუში (ძიუდო, II),
2. ლევან რუაძე (ძიუდო, II),
3. ლუხუმ ჩხვიმიანი (ძიუდო, III).

XI ფანჯივალი, ტრაზონი, თურქეთი.
2011 წელი, 23-29 ივლისი.
49 ქვეყანა, 2500 სპორტსმენი.

საქართველოდან - 22 სპორტსმენი, სპორტის 5 სახეობა: ძიუდო, ცურვა, ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ველოსპორტი.
6 მედალი: 1 ოქრო, 1 ვერცხლი, 4 ბრინჯაო.

1. ბექა ლინიაშვილი (ძიუდო, I),
2. ლაშა ლულუაშვილი (მძლეოსნობა, II),
3. გიორგი ლაზუაშვილი (ძიუდო, III),
4. გიორგი მუხაშვილი (ძიუდო, III),
5. ლევან გუგავა (ძიუდო, III),
6. თემურ კირაკოზაშვილი (ძიუდო, III).

XII ფანჯივალი, უბრანტი, პოლანდია.
2013 წელი, 13-20 ივლისი.
49 ქვეყანა, 2500 სპორტსმენი.

საქართველოდან - 27 სპორტსმენი, სპორტის 5 სახეობა: ძიუდო, ცურვა, ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ველოსპორტი.
8 მედალი: 2 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო.

1. ერეკლე არსოზაშვილი (ძიუდო, I),
2. გიორგი კაციაშვილი (ძიუდო, I),
3. თამაზ კირაკოზაშვილი (ძიუდო, II),
4. გიორგი ძეზისაშვილი (ძიუდო, II),
5. იესო კვირიკაშვილი (ძიუდო, II),
6. სიმონ მამარდაშვილი (ძიუდო, III),
7. მარიამ ჯანაშვილი (ძიუდო, III),
8. მარიამ ბოლქვაძე/ნანა ახალკაცი (ჩოგბურთი, III).

XIII ფანჯივალი, თბილისი, საქართველო.
2015 წელი, 26 ივლისი-1 აგვისტო. ???



საქართველოს ნაკრები გუნდების უმაღლესობები

ფრანგურთი

კაკაურიძე, დავით ცხომარია, ლაშა ჩოხელი, ბექა ხუბულური.

გომონები

A ჯგუფი: რუსეთი, თურქეთი, იტალია, საქართველო.
B ჯგუფი: სერბეთი, ბელგია, ჩეხეთი, პოლონეთი.

პაქები

A ჯგუფი: პოლონეთი, რუსეთი, ბულგარეთი, საქართველო.
B ჯგუფი: იტალია, თურქეთი, ჩეხეთი, სერბეთი. ჯგუფებში წრიული პაექრობების შემდეგ ნახევარფინალში ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა, რომლებიც ოლიმპიური სისტემით მედლებისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

გომონები

გიორგი ქართველიშვილი (მწვრთნელი) გვანცა ულუმბელაშვილი, გურანდა კვერნაძე, ქეთევან ბლუაშვილი, ანანო ახობაძე, ანა კალანდაძე, ელისაბედ ფალავანდიშვილი, გვანცა ენუქიძე, პაატა ულუმბელაშვილი (მთავარი მწვრთნელი), თამთა დანელია (მწვრთნელი), გვანცა მარქარაშვილი, მარიამ გაფრინდაშვილი, ნინო კორაყვა, ელენე გაბროშვილი, მზია ვაშაკიძე.

პაქები

გენადი გორდაძე (მწვრთნელი) ანდრია ლეჟავა (მენეჯერი), თემურ შამანაური, ლაშა ლობჟანიძე, ზაურ მგალობლიშვილი, ბადრი ნუცუბიძე, რევაზ ნიკლაური, ამირან ტეფნაძე, თორნიკე ხომასურიძე, სოსო ლობჟანიძე (მწვრთნელი), სულხან ახვლედიანი (მთავარი მწვრთნელი), გოგა ბუაძე, ავთანდილ



სურვა

ორშაბათიდან ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში 16 ქართველი მოცურავე ჩაებმება. თბილისის ახალგაზრდობის აუზში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ირაკლი კვარაცხელია, გივი დუდაშვილი, საბა მდივანი, მერი მუშლაძე, გიორგი ხმელიძე, გიორგი ჩიქოვაძე, ელენე ბერაია, რატი კერვალიშვილი, ლევან ბახტურიძე, მარიამ იმნაძე, სანდრო მამულაშვილი, ალექსანდრე ლომიძე, გიორგი ჭუმბურიძე, რუსუდანი გოგინაშვილი, ლუკა პატარაია, ლიკა ჭიხორია (ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია გიორგი აბზიანიძე, მწვრთნელები - ირინა მინჟულინა და ნინო გოგინაშვილი). ამ სპორტსმენებიდან ბახტურიძე საჩხერელია, გოგინაშვილი, პატარაია და ჭიხორია - რუსთაველები, დანარჩენები კი თბილისში ცხოვრობენ.

მძლეოსნობა

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში საქართველოს 18 მძლეოსანიც მოსინჯავს ძალებს. კონტინენტულ თანატოლებს საპრიზო ადგილებისთვის პაექრობაში დაუპირისპირდებიან: გოგონები. სალომე მენთეშვილი (200 მ), ნინა ცეცვაძე (800 მ), მარიამ ჩაკაბერია (400 მ თარჯებით), ჯენეტი გოდაბრედიძე (სიგრძეზე სტომა), დიანა ზოლოტუხინა (ჭოკით სტომა), მარიამ მეჯიდოვა (სიგრძეზე სტომა), ნინო ნიქვაძე (უროს ტყორცა), ანი კონსტანტინიდი (4X100 მ ესტაფეტა); ვაჟები. საბა სვიჩავა (800 მ, 2000 მ წინალობებით), დავით აბესაძე (1500მ, 3000 მ), დავით ლუკავა (400 მ თარჯებით), რომან ბადრიძე (სიგრძეზე სტომა), საბა სოსელია (ჭოკით სტომა), ბადრი ქიმაძე (ბირთვი), გიორგი დავითაშვილი (ბადრო), ლაშა გიორგი გურგენიძე (ურო), გიორგი კეთილაძე (შუბი), რუბენ აბესაძე (400 მ). გუნდის ხელმძღვანელია მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვასილ ბერიშვილი,





მთავარი მწვრთნელი - დავით ინაშვილი, მწვრთნელები - ბადრი ბადრიძე, ლერი წიტიანიშვილი, ზურაბ ტალიკიშვილი, ლევან გუგუშაშვილი. ფესტივალზე საქართველოს მძლეოსნები სხვადასხვა სინჯის რამდენიმე მედლის მოპოვებას გეგმავენ.

კალათბურთი

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში კალათბურთულ გოგონათა და ვაჟთა რვა რვა გუნდი იასპარეზებს. ისინი წილისყრით ჯგუფებში ასე გადანაწილდნენ:

გოგონები

A ჯგუფი: თურქეთი, ჩეხეთი, ბელგია, საქართველო.

B ჯგუფი: ლატვია, რუსეთი, საფრანგეთი, უნგრეთი.

საქართველოს ნაკრები: თეონა ვახანია, თეონა მაჩალაძე, ვიტორია გეგეშიძე, ნატალია ოთხმეზური, ელენე მანდარია, ელენე ილურიძე, სოფო გოგეშვილი, მარიამ დარჩია, გვანცა ბოჭორიშვილი, მარიამ ხარიშვილი, ჰეგენ პოიდონკსი, მარიამ ადამია, მთავარი მწვრთნელი ლელა ცანავა, მწვრთნელი როლანდ გელოვანი.

ვაჟები

A ჯგუფი: თურქეთი, ბოსნია, ლატვია, საქართველო.

B ჯგუფი: ესპანეთი, იტალია, სერბეთი, გერმანია.

საქართველოს ნაკრები: ვახტანგ გაფრინდაშვილი, ნიკოლოზ ყირიმელი, ნიკა ჩეჩელაშვილი, ვლადიმერ ალავიძე, ბერდია ქავთარაძე, გიორგი მამალაძე, ოთარ პერტაია, აკაკი ფიფია, გოგა ბითაძე, ლევან თავხელიძე, ნიკოლოზ მეცხვარიშვილი, ზაურ ჯანელიძე, მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, მწვრთნელი გიორგი ნიკოლაძე.

ველოსპორტი

ველოსპორტში გოგონათა და ვაჟთა შორის ორი შეჯიბრება გაიმართება: 28 ივლისს - ინდივიდუალური, 30 ივლისს კი - საგზაო კვიცილო რბოლა. საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ემზადება ასპარეზობისთვის: თორნიკე აგლაძე, თენგიზ ბარბაქაძე, ლაშა ამირიძე, დავით კუხიანიძე, ვანო კვახაძე, თამაზ წერეთელი, გიორგი ქოჩაკიძე, მწვრთნელები - ხვიჩა ბარბაქაძე, ალბერტ სოლოიანი.

ძიუდო

ძიუდოსტა ტურნირში საქართველოდან რვა ვაჟი და ოთხი გოგონა მოსინჯავს ძალეებს. ესენი არიან: გოგონები. ნატალია ყიფშიძე (48 კგ), მზია ბებოშვილი (52), ეთერ ლიპარტელიანი (57), ნათია


საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობები

მიქაბერიძე (63), მწვრთნელი - გია თენაძე, ვაჟები. გიორგი ნიაზაშვილი (50), თემურ ნოზაძე (55), რობიზონ ბეგლარიშვილი (60), ბაგრატ ნინიაშვილი (66), ლაშა დუდაშვილი (73), გოგა ქევიშვილი (81), ონისე სანებლიძე (90), გელა ზაალიშვილი (+90). მწვრთნელი მინდია ბოდაველი.

ხელბურთი

გოგონები

A ჯგუფი: დანია, გერმანია, ნორვეგია, ჩერნოგორია.



B ჯგუფი: ჩეხეთი, საქართველო, რუსეთი, რუმინეთი.

ვაჟები

A ჯგუფი: უნგრეთი, ნორვეგია, დანია, გერმანია.

B ჯგუფი: საფრანგეთი, სლოვენია, შვეიცარია, საქართველო.

ვაჟები. 1. სანდრო ხანდოლიშვილი („ქარიშხალი“), 12. გიორგი ხარაიშვილი („იმედი“), 2. ლუკა განერელია („პეგასი“), 3. გიორგი დოლმაზაშვილი („ყვარელი“), 6. გიორგი მერკვილაძე („ქუთაისი“), 7. ხაზინ რუსტამოვი („იმედი“), 8. გიორგი ტიელიძე („გორი“), 10. ირაკლი კვიციანიშვილი („ქუთაისი“), 11. ერეკლე არსენაშვილი („ქარიშხალი“), 13. ლუკა ბულბულაშვილი („ქარიშხალი“), 14. გიგი ფერაძე („ქარიშხალი“), 15. ზეზვა იობაშვილი („იმედი“), 18. ნოდარ მაისურაძე („პეგასი“), 22. გიგა ზარნაძე („პეგასი“), 24. ზურაბ გოგავა („პეგასი“, გერმანია), მთავარი მწვრთნელი გარი თურქია, მწვრთნელი გიორგი ქობულაშვილი;

სათადარიგოები: დავით მამულაშვილი („პეგასი“), ლევან მამულაშვილი („პეგასი“), გიორგი ცხოვერბაძე („პეგასი“), მიხეილ ნაზლაძე („პეგასი“).

გოგონები. 16. ქრისტინე ჯავახია („ოქროს ვერძი“, ფოთი), 22. მარიამ ჩაჩუა („პეგასი“), 7. თინა ქიტეშაშვილი („ყვარელი“) 9. თათია გადელია („ოქროს ვერძი“), 10. სოფო იორდანიშვილი („ყვარელი“), 13. ქრისტინე ღვალაძე („მამული“), 15. თამარ ჩოგოვაძე („პეგასი“), 17. მედეა ჩოხელი („პეგასი“), 18. ქეთევან ვენეცკაია („პეგასი“), 19. ანა ყველაშვილი („მამული“), 23. მარიამ მიხელიძე („ყვარელი“), 24. ნინო გაბისონია („მამული“), 29. ქეთი კუნელაშვილი („ყვარელი“), 31. მაია ბერიძე („პეგასი“), 39. თამთა თეთრაშვილი („ყვარელი“), მთავარი მწვრთნელი გიორგი გვაზავა, მწვრთნელი ინა ჭკუასელი;

სათადარიგოები: 1. თინათინ ყაველაშვილი („პეგასი“), 12. ანა ვარდიშვილი („მამული“), 11. ლელა მორჩაძე („პეგასი“), 34. თამარ გიორგაძე („მამული“).

სპორტული ტანვარჯიში

გოგონები: მაგდა რობაქიძე, პოლინა ბორზიხი, მარი ბუცკიხი, მთავარი მწვრთნელი რუსუდან სიხარულიძე;

ვაჟები: იოვანე ჯიმშელიშვილი, საბა აბესაძე, დმიტრი გოვროვი, მთავარი მწვრთნელი ბესარიონ გამსახურდია.

ჩოგბურთი

გოგონები: ანა შანიძე, ანა მაქაცარია, ვაჟები: ნიკოლოზ დავლიანიძე, დავით ჭელიძე. მწვრთნელები: გაგა დოლიძე, დავით კვერნაძე.

ლემსო ცინცაძე

„დიდი სამეული“-3

70 წლის წინათ გაიხსნა პოტსდამის კონფერენცია

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერები ერთმანეთს პირველად 1945 წელს შეხვდნენ თეირანში. მეორედ – იალტაში. შეხვედრა პოტსდამში იყო მესამე და უკანასკნელი.

პოტსდამი – პატარა ქალაქია 20 კილომეტრის დაშორებით ბერლინიდან, ყველაზე ნაკლებად დაზარალებული ინგლის-ამერიკის ავიაციის რეიდებისგან. სადაც მის მიდამოებში, თუ სერი-ალს „გაზაფხულის ჩვიდმეტ გაელევა-ბას“ დაფუძვრებთ, ცხოვრობდა და მუშაობდა შტანდარტენფიურერი მაქს ოტო ფონ შტირლიცი. სწორედ იქ ინგლისური სტილის სიმბათიურ სასახლეში 1945 წლის 17 ივლისს გაიხსნა პოტსდამის კონფერენცია. მისი გადამწყვეტილებები ბევრ რამეში დღემდე განსაზღვრავს მსოფლიოს ბედს.

„კალის“

საილუპოვებანი

პოტსდამში ოკუპაციის საბჭოთა ზონაში შედიოდა, ამიტომ მიმღები მხარე იყო სსრ კავშირი ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. კონფერენციისათვის მზადება ისტორიაში შევიდა, როგორც ოპერაცია „პალმა“. მისი გამართვის შესაფერისების ზომები უბრალოდ სასწაულებრივი იყო! სპეციალურად სტალინისათვის, რომელსაც არ უყვარდა თვითმფრინავებით ფრენა, საბჭოთა ტერიტორიიდან თვით პოტსდამამდე გაიყვანეს ცალკე რკინიგზა ფართო ლიანდით (იგივე ლიანდაგია).

სპეციალურ გზაზე მიდიოდა სტალინის სპეციალური მატარებელი, დაცვის თითქმის ასამდე ოფიცრით, შტაბით, რადიოსადგურითა და სურსათ-სანოვარის ერთი თვის მარაგით. ორ კიდეც ასეთ-სავე სახის შემადგენლობას, ოღონდ უბედადოდ, რომლებიც ძირითადის წინ და უკან მიდიოდნენ, უნდა გაეფანტა პოტსდამში დივიზიონებისა და მანქანების კონსერვატორების ლიდერმა უინსტონ ჩერჩილმა წააგო პარლამენტის არჩევნები, და მისი ადგილი მაგიდაზე პოტსდამში ლეიბორისტმა კლემენტ ეტლმა

პოპი და ტუალეტი

უკვე კონფერენციის დასაწყისისთვის „დიდი სამეული“ აღარ იყო ისეთი, როგორც თეირანსა და იალტაზე. რუხველტის – ის 1945 წლის აპრილში გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით – ადგილი ვიცე-პრეზიდენტმა პარი ტრუმენმა დაიკავა. სხდომების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, როდესაც ის უკვე ევროპაში იყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა გამოეცადათ პირველი ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობა (ოღონდ ჯერ კიდევ არა ბომბი).

მისი ქალიშვილის მოგონების თანახმად, 16 ივლისს ტრუმენმა თქვა: „თუ იგი აფეთქდება, მე მოვარჯულებ ამ (რუს) ჭაბუკებს“. მოწყობილობა სახელწოდებით „გაჯეტა“ წარმატებით ამუშავდა.

ტრუმენმა იჩქარა, ეცნობებინა სტალინისთვის, რომ მის ქვეყანას აქვს „არაჩვეულებრივი დამანგრეველი ძალის იარაღი“. სტალინს არც შეშინებია და არც გაჰვირვებია, რამაც მაშინ გააოგნა ტრუმენი. მიზეზი გაირკვა მხოლოდ 5 წლის შემდეგ, როდესაც საბჭოთა „ატომური ჯაშუშობის“ გლობალურ ქსელში მოხდა პირველი ჩავარდნა. 1945 წელს სტალინი ამერიკული ატომური ბომბის შექმნის მიმდინარეობის შესახებ რამდენადმე უკეთ იყო ინფორმირებული, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ახლად გამოცხვარი პრეზიდენტი, რომელსაც მის წინა სტატუსში საერთოდ არც აცნობეს „მიუხედავად პროექტის“ არსებობის შესახებ.

სხვათა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ამ პრეზიდენტის გარდა პოტსდამში იყო კიდევ ერთი – მომავალი. ჯონ კენედი ამუშავდა კონფერენციას, როგორც სამხედრო ჟურნალისტი.

„დიდი სამეულის“ სხვა მონაწილე შეიცვალა უკვე კონფერენციის მსვლელობის დროს. ბრიტანეთის პრემიერმა და კონსერვატორების ლიდერმა უინსტონ ჩერჩილმა წააგო პარლამენტის არჩევნები, და მისი ადგილი მაგიდაზე პოტსდამში ლეიბორისტმა კლემენტ ეტლმა



ჩერჩილი, ტრუმენი და სტალინი ჯარჯარობით ისევ ბარბაროსის ერთ მხარეს არიან

დაიკავა. მისი ერთ-ერთი შეხვედრა საბჭოთა ლიდერთან მიმდინარეობდა არაფორმალურ ვითარებაში – საპირფარეოში.

კაპიტალისტურ სამყაროში ტუალეტი – ერთადერთი ადგილია, სადაც მუშებს წარმოების საშუალებები თავიანთ ხელთ უპყრიათ, – გაიხუმრა ეტლიმ, როდესაც პისუარის წინ იდგა.

ჩვენთანაც, – ჯარისკაცული პირდაპირობით უპასუხა სტალინმა, როდესაც შარვლის ზოლს ისწორებდა.

სისივეპის უსახვედრად

პოტსდამის გადამწყვეტილებათა უმრავლესობა აქტუალურია დღემდე. სსრ კავშირში გადმოსული აღმოსავლეთ პრუსიის ბირთვი – ამჟამად კალინინგრადის ოლქი – რუსეთის ფორპოსტად რჩება დასავლეთის მიმართულებით. საკითხი ამ მიწების გერმანიის ფედერაციულ რესპუბ-

ლიკაში დაბრუნების შესახებ ოფიციალურად არასოდეს დასმულა. აი, იაპონია კი, რომელმაც სახალინის სამხრეთი და სამხრეთი კურილის კუნძულები დაკარგა დოკუმენტებით, რომლებსაც ხელი პოტსდამში მოწერა, თავის დანაკარგებზე დღემდე დავობს. ხეირის კიდეც ერთი მომპოვებული გახდა პოლონეთი, რომელმაც სილეზიისა და პომერანიის დიდი ნაწილი მიიღო.

როგორღა გერმანიის დაყოფა, რომლის დაძლევისადაც 1990 წელს ხშირად ისტორიულ შეთანხმებათა დარღვევას უწოდებენ? გავრცელებული ცდომილების საპირისპიროდ, პოტსდამში ასეთი გადამწყვეტილება არ მიუღიათ. საკითხს განიხილავდნენ, დაისვა „დაშლის“ სხვადასხვა ვარიანტიც, მაგრამ გადამწყდა გერმანია დაეტოვებინათ ერთიანი, თანაც ამას დაჟინებით სსრ კავშირი მოითხოვდა. საბჭოთა კომუნისტები, ბრიტანელი კოლონიალისტები და ამერიკელი კაპიტალისტები პოტსდამში მაინც რჩებოდნენ მოკავშირეებად, თუმცა, ცივი ომი უკვე დაუნდობლად გვიახლოვდებოდა.

სარგანი ოსიპოვი



პოტსდამს უინსაჰოვის 25 ათასი თანამშრომელი იცავდა.

პრობლემა, რომელიც გადაჭრას ელის

საბაჟო-საგარეო სახელმძღვანელო

(გეორგი ბერძენიძე) საქართველოში 20-მდე გამოცემული იქნა ილემბო მონაწილეობას სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის პროცესში, რაც საერთო ბაზრის დიდ ნაწილს შეადგენს. დიდმა გამოცემლობებმა შემოსავლის დაახლოებით 70% დაკარგეს სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად.

ბაზარზე იყვნენ ისეთი გამოცემლობებიც, რომლებიც მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოების მიმართულებით მუშაობდნენ და დღეს ისინი უბრალოდ აღარ არსებობენ. სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარების პროცესი, რომელიც გამოცემლობებისა და ავტორების ძალისხმევით ხორციელდებოდა, მნიშვნელოვნად შეფერხდა.

გიუხადავაძე სანდროს პროტესტისა, მთავრობაზე გადამწყვეტილება არ შეცვალა. გამოცემლობაზე სარჩელით მიმართეს სახელმძღვანელო, სახელმძღვანელო და საკონსტიტუციო სასამართლოებს და მზად არიან საგარეო-ლაგერებში არაქონა სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გააბრკალონ, სადაც, გამოცემულია ახრით, მათი სარჩელის დაკმაყოფილება გარდაუვალია.

წელს განათლების სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოების ძალიან მცირე რაოდენობას ბეჭდავს უფასო სახელმძღვანელოების პროექტის ფარგლებში (დაახლოებით 41,000 ეგზემპლარს 650,000 მოსწავლისათვის). მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ძველ, მეორად და ცუდი ხარისხის სახელმძღვანელოებს მიიღებს. ყოველი 15 მოსწავ-

ლიდან მხოლოდ 1-ს გადაეცემა ახალი სახელმძღვანელო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მშობლები, რომელთაც აქვთ ამის შესაძლებლობა, ახალ სახელმძღვანელოებს თავად შეიძენენ შვილებისთვის. გამოცემლობებმა, მიუხედავად ყველა იმ სირთულისა და გამოწვევისა, რომლის წინაშეც ისინი დგანან, უკვე დააფიქსირეს საერთო პოზიცია, რომ შეინარჩუნებენ ძველ ფასებს და ერთი სასკოლო სახელმძღვანელოს საცალო ფასი არ იქნება 10 ლარზე მეტი (4.4 აშშ დოლარი).

აღნიშნული საკითხი საქართველოში აქტიურად იქცევა მედიის ყურადღებას. ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ სახელმწიფოს ეს პროექტი, რომელიც დასაწყისიდანვე არასწორად დაიგეგმა, საფუძველშივე განწირული იყო წარუმატებლობისა და სრული კრახისთვის.

თავდაჯერებულად, მოაკლეს ივლით

საქართველოში 2018 წელს საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე. ეს დიდი გამოწვევაა საქართველოს წიგნის სექტორისთვის, თუმცა, ჩვენი ქვეყნის მდიდარი კულტურული გამოცდილების დათვალიწინებით გვეყვარა, რომ საინტერესო ღონისძიების დათვალიწინებით შევძლებთ.

2018 წლისთვის მზადების პროცესში, პირველ ყოვლი-

ფინანსების სამყარო

მრავალკოლუსიანი სისტემის კონტურები

მსს შემდეგ, რაც მსოფლიო ომი დასრულდა და დოლარი ოქროს შემცველად, ეგრეთ წოდებულ სარეზერვო ვალუტად იქნა მიღებული, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური ფლაგმანის როლი, აგერ უკვე შეიძინა ათეული წელზე მეტია, ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს მორგებული. ბუნებრივია, რომ ასეთი ვითარება სხვა დიდი სახელმწიფოებს, უწინარესად, რუსეთსა და ჩინეთს, ხელს არაფერში აძლევს, ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ბოლო წლებში სუბერ-სახელმწიფოებმა, სხვა უაღრესად სწრაფი ტემპით მზარდი ეკონომიკის ქვეყნებთან – ინდოეთთან, ბრაზილიასთან, სხვებთან ერთად მსოფლიოს ეკონომიკის მონოპოლარული მონყობის ბიპოლარულ, ანდა, სულაც, მრავალპოლარულ მოდელზე გადაყვანა გადაწყვიტეს და საამისოდ შესაბამისი ნაბიჯები გადადგეს.

ამის შედეგი იყო საერთაშორისო BRICS-ისა (ბრიჩს) და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციების (შოთ) შექმნა. პირველ მათგანში გაერთიანდა ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (ბრიჩს), მეორეში, თავდაპირველად ექვსი წევრი იყო – ჩინეთი, რუსეთი, ვაზანეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი, ორივე კვირის წინააღმდეგ კი მათ რიცხვს შეუერთდნენ ინდოეთი და პაკისტანი.

ამდენად, ივლისში რუსეთის ქალაქ უფაში ბრიჩს-ისა და შოთ-ს სამიტს მსოფლიოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამის დასადასტურებლად თუნდაც ის ფაქტია საკმარისი, რომ იქ დაპირაკი იყო 100 მილიარდი დოლარის კაპიტალის ბრიჩს-ის ბანკის შექმნაზე, შოთ-ს რიგები კი აზიის ისეთი ძლიერი ქვეყნების წევრე-

ბით შეივსო, როგორებიცაა ინდოეთი და პაკისტანი.

ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბრიჩსი არ არის ქვეყნების კავშირი მანამდე არსებულ ტრადიციული სახით, ის უფრო მათი მმართველი ელიტებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომლობაა. ამ ალიანსების წევრი სახელმწიფოები ერთმანეთისგან როგორც პოლიტიკური მისწრაფებებითა და ინტერესებით, ასევე ეკონომიკურ განვითარების დონით, პოტენციალით და ამჟამინდელი მდგომარეობითაც განსხვავდებიან – მაგალითად ბოლო დროს, რუსეთსა და

ათეული ქვეყნის ნილობრივი მონანილობით შეიქმნა ინფრასტრუქტურული „ინვესტიციების აზიური ბანკი“, რომლის კაპიტალი 100 მილიარდი დოლარია. ის მსოფლიო ბანკისა და განვითარების „აზიური ბანკის“ ალტერნატივად განიხილება, სადაც „პირველი ვიოლინოები“ ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონიაა.

შანხაისში კი განთავსდება ბრიჩს-ის „განვითარების ბანკი“, რომლის კაპიტალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასევე 100 მილიარდი დოლარი იქნება და რომელიც მსოფლიოს სხვა ნამყვანი ფინანსური ინსტიტუტებისგან

უფაში გამართულ სამიტზე ბრიჩს-ის წევრებმა 2020 წლამდე მოქმედებისა და ეკონომიკური პარტნიორობის სტრატეგიული გეგმები შეიმუშავეს, რომლებიც მათი ინტერესების ყველა სფეროს ეხება. ამასთან, დაამტკიცეს ტერორიზმთან, სეპარატიზმსა და ექსტრემიზმთან 2016-18 წლებში ბრძოლის პროგრამა.

ამრიგად, საერთაშორისო ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბრიჩს-ისა და შოთ-ს მოღვაწეობის ახალი ეტაპის დაწყებით, საქმე გვაქვს მსოფლიოს საფინანსო-ეკონომიკური სისტემის რეფორმირებასთან, რაც, სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ევროპელი პარტნიორების შემფორთვებას იწვევს. უკრაინაში გატარებული პოლიტიკის გამო, დასავლეთის ქვეყნების მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციებისა და არსებული გარკვეული ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემებისა, იგი კვლავაც რჩება ერთ-ერთ უძლიერეს განვითარებად სამხრეთ-აღმოსავლურად წლიდან წლამდე იზრდება მსოფლიო ეკონომიკაში ჩინეთის როლი. ამის მკაფიო მაგალითია ის, რომ ახლახან ჩინეთის ბანკი ოფიციალურად შეუერთდა ლონდონში ძვირფასი ლითონების ყოველდღიური ფასის განსაზღვრის პროცედურას, რაც მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა. ამავდროულად, ჩინეთი საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში დოლარის, ევროს, გირვანქა სტერლინგისა და იენის პოზიციების შევიწროებასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეზერვებში იუანის შემცველობის მომატებას ისწრაფვის, ამიტომაც აქტიურად ზრდის ოქროს მარაგს. ამდენად, მსოფლიოში ძვირფასი ლითონების ბირჟაზე

ფიქსირებული ჩინეთის ოფიციალური დამკვიდრება ამ მიმართულბით გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამასთან, ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ამ შემთხვევაში დაპირაკია მხოლოდ იუანის, ასე ვთქვათ, „კონსერვატიული“ ექსპანსიაზე, ვინაიდან დოლარის მკვეთრ დაცემას თავად ჩინეთის ეკონომიკისთვის სავალალო შედეგი მოყვება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ვალუტის უზარმაზარი რეზერვის პატრონი, იგი, უნებლიეთ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალს აფინანსებს.

მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ რუსეთი, ისევე, როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მსოფლიოში ოქროს ერთ-ერთი უდიდესი მომპოვებელია – იენის მიმართ დაპირაკითონის ქვეყნის მარაგმა 1250 ტონას გადააჭარბა, ამდენად ექსპერტები ვარაუდობენ, რომ იგი ოქროს რუბლზე გადაცვლას მალე შეძლებს, რაც, ყოველ მიზეზ გარეშე, დოლარისთვის უმძიმესი დარტყმა იქნება. ყველა სიკეთესთან ერთად, უტყუარი ცნობები ჩინეთის ოქროს მარაგის შესახებ ჯერჯერობით უცნობია, თუმცა კი, ზოგიერთი წყარო 9800 ტონაზე მეტს (!) ასახელებს.

ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ „ოქროს ციებ-ცხელების“ არეალში ასევე არიან ჩვენი მეზობელი თურქეთი და ირანი, ამდენად ბრძოლა ოქროს მარაგების გასაზრდელად კიდევ უფრო მძაფრი ხდება.

ათწლეულების მანძილზე მსოფლიოში გაბატონებული ფინანსურ-ეკონომიკური წესრიგის ფერისცვალებას ასევე მოასწავებს ისიც, რომ უფის სამიტის მონაწილეებმა, რომლებიც, ასევე დედამისის უდიდეს და უმძლავრეს ქვეყნების რიცხვს, ეგრეთწოდებულ G-20 ის წევრები არიან, ერთხმად დაუჭირეს მზარი გაეროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სასწრაფო რეფორმირებას.

დათმობინავენ აუგ-ს მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური ფლაგმანის როლს?



ჩინეთში ეკონომიკური ზრდის ტემპი შენედა, ინდოეთში კი, პირიქით, გაიზარდა, მაგრამ მათი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე უდიდესია. კერძოდ, ბრიჩს-ის ეკონომიკურ ინტერესთა მეტად მნიშვნელოვანი არეალია დიდი აზრების გზა, რომლის განსავითარებლად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშესახებად, ჩინეთში 40 მილიარდი დოლარის კაპიტალის განმკარგველი ფონდი შეიქმნა.

დამოუკიდებლად იმოქმედებს. საგულისხმოა, რომ ბრიჩს-ის ფარგლებში სავალუტო სარეზერვო ფონდი, ერთგვარი „ურთიერთდამხარების სალარო“ იქნება, რომლის სახსრებს, კრიზისის შემთხვევაში, გასაჭირში აღმოჩენილი ქვეყნები ეროვნული ბაზრის სტაბილიზაციის აღსადგენად გამოიყენებენ. სარეზერვო ფონდის „საერთო ყულაბაში“ ჩინეთი 41 მილიარდი დოლარს შეიტანს, ბრაზილია, რუსეთი და ინდოეთი – 18-18 მილიარდს, სამხრეთი აფრიკა კი 5 მილიარდს.

კულინარი

ერთი ულუფა ბაყაყი - 18 ლარი

„ბოლო წლებში აგზობიკურ მენიუს კართველავის ატანებთან“

„ზომიანი ტურისტული საფრანგეთში მარტო ეთიოპის კოშკის სანახავად კი არა, ბაყაყის თათების დასაგემოვნებლადაც ჩადის, ხოლო კამბოჯაში – გველის სუბის გასასინჯად. არაერთ ქვეყანაში ღამიურას ან ბაყაყის ხორცი-საგან დამზადებული კერძები ისევე უყვართ, როგორც საქართველოში საცივი ან ხაჭაპური. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ფრინველის გრძის და სხვა დავადადების გავრცელების გამო, ბაყაყის ხორციზე მოთხოვნა საგრძობლად გაიზარდა. ალბათ ამიტომაც 5-6 წლის წინათ საქართველოში ბაყაყების მოშენება და საფრანგეთში გატანა დაიწყო. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტიპის ბაყაყის გემო ევროპელებს ძალიან მოსწონდათ, მაგრამ ამ ბუნებში არ გამართლდა.

ბაყაყის თათების ექსპორტი ბოლოს 2010 წელს აღირიცხა: მაშინ საფრანგეთში 100 კილოგრამი ბაყაყის თათების ექსპორტი განხორციელდა, ხოლო 2009 წელს ჩვენი ქვეყნიდან საფრანგეთში 4 175 კგ ცოცხალი ბაყაყი გაიყვანეს. საბოლოოდ, „ქართული“ ბაყაყების ექსპორტი ჩავარდა, მაგრამ მომიტაცა იმპორტმა: „საქსტაის“ მონაცემებით, 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში ბაყაყის თათების იმპორტი სამჯერ გაიზარდა: ქვეყანაში 0,3 ტონა პროდუქტი შემოვიდა, ეს მაშინ, როდესაც 2013 წელს საქართველოში მხოლოდ 0,1 ტონა ბაყაყის თათები შემოიტანეს. მომატებულია ამ პროდუქტის ფასიც: 2014 წელს 1 კგ ბაყაყის თათების ფასი 2,3 დოლართაა გაქვირებული. საქართველოსთვის ბაყაყის თათების მთავარი იმპორტიორი ქვეყანა დანიაა.

ბაყაყის ხორცს ძირითადად ჩვენი უცხოელი სტუმრები ეტანებიან, თუმცა ხანდახან მას ქართველებიც მიი-

თმვენ – იშვიათად, მაგრამ მაინც... რესტორან „ლე მარეს“ დირექტორი მონიკა მოსიძე ამბობს, რომ ქართველები ეგზოტიკურ კერძებს ნაკლებად ეტანებიან, მაგრამ 5-6 წლის წინანდელ სიტუაციას თუ შევადარებთ, ეგზოტიკური კერძების რეალიზაცია საგრძობლად გაიზარდა: „ქართულ სამზარეულოში არ გვაქვს ბაყაყის ხორცი და არც ასეთ კერძებს მივირთმევთ, მაგრამ უცხოეთში მიმოსვლამ, ინფორმაციის გაცვლამ, ეგზოტიკურ მენიუზე მოთხოვნა თავის თავად გაზარდა. ჩვენი კლიენტები, ვინც ასეთ კერძებს გვიკვთავს, სადაც სტუმრად იყვნენ, განსჯეს, მოეწონათ, მის შესახებ ინფორმაცია მიიღეს და ეგზოტიკურ კერძებს საქართველოშიც აგემოვნებენ.

მონიკა მოსიძის თქმით, რესტორნების ქსელში ბაყაყის თათების გასაყიდი ფასი 20-დან 25 ლარამდე მერყეობს, ხოლო 1 კგ ბაყაყის თათის შესყიდვა 39,85 ლარი ღირს.

„ბაყაყის ხორცი მეც გამოსინჯავს, ვიცი, რომ მასში ქოლესტერინის დონე ძალიან დაბალია, თანაც, საკმაოდ გემორივია. ჩვენს ქვეყანაში ბაყაყის ხორცისგან დამზადებული დელიკატესები ბევრს მოსწონს. ისე კი, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი კულინარიული გემოვნება საკმაოდ კონსერვატიულია: ქართველები უტყვივ ქვეყნებში ხშირად მოგზაურობენ, მიირთმევენ სხვადასხვა კერძებს, მაგრამ მაინც ჩვენს ეროვნულ სამზარეულოს ამჯობინებენ“, – ამბობს მონიკა მოსიძე.

ჩინურ რესტორან „ახალ აზიაში“ მრავალკოვანი ეგზოტიკურ კერძებს შორის ბაყაყის ხორცის კერძიც არის. როგორც რესტორნის მენეჯერმა ქეთევან ერკოშვილმა თქვა, ბაყაყის ხორცისაგან არა ერთი დელიკატესი მზადდება, მას ძირითადად სოუსებში იყენებენ.

„ამ კერძებს ქართველებიც გვიკვთავან და უცხოელებიც, თუმცა, ჩვენს ადგილობრივ კლიენტებს შორის მასზე ძალიან დიდი მოთხოვნა არ არის. ბაყაყის ხორცისაგან დამზადებულ საკვებს ძირითადად ეგზოტიკური კერძების მოყვარულნი ყიდულობენ. ძალიან მოსწონთ უცხოელ სტუმრებსაც. ერთი ულუფა 18 ლარი ღირს და ამ კერძში სამი ბაყაყი შედის“, – აღნიშნავს რესტორან „ახალ აზიას“ მენეჯერი.

ქეთევან ერკოშვილის თქმით, ქართველ კლიენტებს ყველაზე მეტად ზღვის პროდუქტები და მათგან დამზადებული კერძები მოსწონთ, მაგალითად: კრევეტები, კალმარები, ზღვის პროდუქტების ასორტი და ა.შ. თუმცა, ახლა უკვე ვაფასებელია და ეგზოტიკური კერძების მოყვარულებმა საქართველოს კურორტებზე და ზღვისპირა ქალაქებში გადაინაცვლეს.

ნათუნა ჩიგოგიაძე

ნათუნა ჩიგოგიაძე

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტი (SLRPII)

განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: P122204

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRPII/CS/CQS-03

გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია: შ.პ.ს. „ACT“

კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: 23 ივნისი, 2015

შერჩევის მეთოდი: კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შერჩევის მეთოდი

კონტრაქტის ღირებულება: 494,176.00 ლარი

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 6 თვე

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება.

Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P122204**

Bid/Contract Reference No: **SLRPII/CS/CQS-03**

Awarded Firm: **ACT Ltd.**

Contract signature date: **June 23, 2015**

Method of Selection: **Consultant's Qualification Selection method**

Contract Price: **GEL 494,176.00**

Duration of Contract: **6 months**

Scope of Contract: **Socio-economic Impact Evaluation of the Second Secondary and Local Roads Project (SLRP-II).**


და რა ქალი!

ქალები — გენიოსთა მუზეუმი

დღეს წარმოგიდგინებ ქალბატონებს, რომელთა სახელები ისტორიამ შემოინახა, როგორც ცნობილი გენიოსების შთაგონების წყაროები.


1. გალა

გალა (ელენა ივანოვნა დიაკონოვა) ჯერ ფრანგი პოეტის, პოლ ელუარის მეუღლე იყო, შემდეგ კი — გენიოსი მხატვრის სალვადორ დალის. დალისთვის გალა შეიქმნა ყოველთვის ერთგული ქალი ვერ იყო, მაგრამ მეგობრობას კი ნამდვილად ერთგულს უწევდა: ჭირსა და ლხინში, სიღარიბესა და სიმდიდრეში ისინი ყოველთვის ერთად ყვებოდნენ. გალა ყველაფერს აკეთებდა დალის შემოქმედების ხელშესახებად: იყო მისი მუზა, ეძებდა მისი ნამუშევრებისთვის მყიდველებს, ქმნიდა დალისგან ბრენდს და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პოულობდა დალისთვის სამუშაოს ფულის საშოვნელად.



2. ლილია ბრიკი

ლილია ბრიკი, ცნობილი, როგორც ვლადიმერ მაიაკოვსკის მუზა, იმ ქალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ნაკლებ სიმპათიას იწვევენ. მკაცრ და ძალაუფლების მოყვარე ქალბატონს ნამდვილი ტალანტების გამოცნობა შეეძლო, „იჭერდა“ მათ თავისი გულგრილობით და მანიპულაციებით. მაიაკოვსკი 15 წლის მანძილზე ითმენდა ლილიას „თამაშს“ და მისგან სახალხო დამცირებებს. პოეტი ცდილობდა მის დაეინყებინა, მაგრამ ქალი სხვადასხვაგვარი მანიპულაციების საშუალებით ახერხებდა მის „ხელში ჩერებას“ და ყოველთვის უშლიდა ხელს სხვასთან ოჯახის შექმნაში. არსებობს ვერსიები, რომელთა მიხედვით, მაიაკოვსკიმ თავი სწორედ მის გამო მოიკლა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ პოეტის სიკვდილის შემდეგ ლილია ყველანაირად ცდილობდა, რომ მაიაკოვსკის კრებულების გამოცემა არ შეწყვეტილიყო. მაგრამ რა იყო ამის ნამდვილი მიზეზი — პოეტისადმი სიყვარული და პატივისცემა თუ მის ხელნაწერებზე საავტორო უფლების მოპოვება — ეს სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩება.



3. ბეატრიჩე

ბეატრიჩე, სავარაუდოდ ბეატრიჩე პორტინარი, იგივე ბიჩე იტალიელი პოეტის დანტე ალიგიერის საყვარელი ქალი და შთაგონების წყარო იყო. ბიჩემ არც კი იცოდა რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტი მასზე შეყვარებული იყო. ისინი ერთ წრეში ტრიალებდნენ, ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ, მაგრამ მხოლოდ ორჯერ ესაუბრნენ ერთმანეთს: პირველად როდესაც ბიჩე 8 წლის, დანტე კი 9 წლის იყო; მეორედ კი 9 წლის შემდეგ. გოგონას სილამაზემ და თავდაჭერილობამ მოხიბლა ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც თავისი გრძნობის დამალვა დაიწყო. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი იყო: დანტეს არ სურდა, თავისი გრძნობით შეურაცხყოფა მიეყენებინა ქალიშვილისთვის. მალე ბიჩე სხვაზე გაათხოვეს, მაგრამ 3 წლის შემდეგ გარდაიცვალა. პოეტი იმდენად განიცდიდა ამ დანაკარგს, რომ ახლობლებს ეშინოდათ, საყვარელ ქალს ისიც არ გადაწყობოდა. ამ ტრაგედიამ დანტე აიძულა სხვაგვარად ეფიქრა ცხოვრებაზე და შედეგად გაჩნდა ლიტერატურული შედეგის სახელწოდებით La Vita Nuova („ახალი ცხოვრება“), რაც წარმოადგენს ბეატრიჩესადმი სიყვარულზე დაწერილ პოეტურ-პროზაულ კრებულს.



4. სასკია

სასკიას (სასკია ფონ ეილენბიურსი) სახელი კარგად არის ცნობილი მათთვის, ვისაც ფერწერასთან აქვს შეხება. იგი იყო რემბრანდტის მეუღლე და, ზოგის აზრით, მუზა. თუმცა, სასკია უფრო მეტბოლო, პრავ-

მატული მუზის მაგალითია. მას თავად შეუყვარდა რემბრანდტი და მიუხედავად მხატვრის ოჯახის წინააღმდეგობისა, მოახერხა, ცოლად გაჰყოლოდა. რემბრანტის ახლობლებს არ მოსწონდათ სასკია, ქალაქელ განებივრებულ გოგონად თვლიდნენ. თუმცა ეს ასე არ იყო. მან ადრეულ ასაკში დაკარგა დედა და დარჩა მ დედ-მამიშვილი. მალე მამაც გარდაიცვალა. მართალია, სასკიას ოჯახი საკმაოდ მდიდარი იყო, მაგრამ ამ ტრაგედიებმა გოგოს მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბა. ამის შედეგად სასკიას ცოლად მოყვანის შემდეგ რემბრანდტის საქმეც კარგად წავიდა და ფინანსურად საკმაოდ მყარად მოიკიდეს ფეხი. თუმცა, ქორწილიდან 7 წლის შემდეგ სასკია გარდაიცვალა და ფინანსურმა პრობლემებმაც არ დააყოვნა. შეიცვალა მხატვრის თემატიკაც: ნახატებიდან გაქრა ცხოვრებით ტკობა და მხიარულება და გაჩნდა დარდი გარდასულ ბედნიერ ნუთებზე. უცვლელი დარჩა მხოლოდ სასკია, რომლის სახის ამოცნობაც შეიძლება მხატვრის უკანასკნელი პერიოდის ბევრ ნამუშევარში.



5. კამილა მონე

კამილა მონე, მოდელი, რომელიც პოზირებდა კლოდ მონესა და ოგიუსტ რენუარისთვის, მონეს ქმნიდრი მუზა და შვილის დედა იყო. სწორედ მისმა პორტრეტებმა მოუტანა მხატვარს პირველი სერიოზული აღიარება. კამილას სახე იკვეთება ცნობილი იმპრესიონისტის ნამუშევრების უმრავლესობაში, ხოლო ტიტოლზე სახელწოდებით „ქალები ბალში“, ერთად 4 კამილა გვხვდება. კამილა უწვეულოდ ჰგავდა თავად მხატვრის ფერწერის მანერას: ისეთივე სუსტი, ნაზი, მოფარფარე, წარმავალი... ისეთივე „შთაბეჭდილება“, რასაც წარმოადგენდა მონეს მთელი იმპრესიონისტული შემოქმედება.



6. ჟანა დუვალი

ჟანა დუვალი, კაბარეს მომღერალი, ფრანგი პოეტისა და მწერლის შარლ ბოდლერის „იდუმალთა შორის იდუმალი“ მუზა და „შავი ვენერა“. ჟანა შარლისთვის იყო მისტიკური, ეგზოტიკური, ფატალური სილამაზისა და სექსუალურობის სიმბოლო. თავისი ნამუშევრების დიდი ნაწილი ბოდლერმა სწორედ ჟანას მიუძღვნა. სიცოცხლის ბოლო წლებში ჟანა დუვალი სიფილისით დაავადდა და გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე დაბრმავდა კიდეც. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადში შარლ ბოდლერიც იმავე ავადმყოფობით გარდაიცვალა.



7. ალისა ლიდელი

ალისა ლიდელი ინგლისელი მწერლის, ფილოსოფოსის, მათემატიკოსისა და ფოტოგრაფის ლუის კეროლის მუზა იყო. დღემდე არ არის ცნობილი სინამდვილეში რა ურთიერთობა აკავშირებდა ალისას მასზე 20 წლით უფროს ლუისთან, რომელიც თავიდან მისი პედაგოგი იყო, შემდეგ, როგორც ფოტოგრაფი სურათებს უღებდა და მეგობრობდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, 32 წლის მწერალმა 12 წლის ბავშვს ხელი სთხოვა. ზოგიერთი მკვლევარი მათ შორის პლატონურ სიყვარულზე საუბრობს, ზოგს კი კეროლი პედოფილადაც მიაჩნია. ასეა თუ ისე, სწორედ ალისა ლიდელი გახდა საყოველთაოდ ცნობილი წიგნის, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ მთავარი გმირის პროტოტიპი.



მომავლად სანდრო ძორიძე

სსოვნა

ზურაბ გელენიძე

საქართველოს სამეცნიერო და პედაგოგიკის საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი პიროვნება — გარდაიცვალა ჰიდროტექნიკური მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ახალგაზრდა ჰიდროტექნიკოსთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, შეუბღალავი სახელისა და მაღალი ადამიანური ღირსებების მატარებელი, პროფესორი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი **ზურაბ შალვას ძე გელენიძე**.



მოულოდნელად შეწყდა სულით სორცამდე ქვეყნისა და ხალხის საქმისთვის თავდადებული ქართველი მამულიშვილის სიცოცხლე, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ემსახურა სტრუქტურული ახალგაზრდობის მომზადებისა და ჰიდროსაინჟინერო ობიექტების პროექტირება-მშენებლობის ღირსეულ საქმეს, ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ამაღლებას. გელენიძე დაიბადა 1943 წლის 10 აგვისტოს წყალტუბოს რაიონის სოფელ ხომულში. ქ. ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის დათავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1967 წელს სპეციალობით „სამდინარო ნაგებობებისა და ჰიდროენერგეტიკოსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა“. 1969-1972 წწ. იყო ასპირანტი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის კათედრაზე. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1990 წელს — სადოქტორო.

შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში და გაიარა ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერი მუშაკიდან პროფესორამდე. 1976 წელს მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1992 წელს პროფესორის წოდებები. 1990-1999 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროტექნიკური ნაგებობების კათედრის გამგე, ხოლო 2007-2015 წლებში არჩეული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. იგი კითხულობდა ლექციებს სამშენებლო ფაკულტეტის ჰიდროტექნიკური მშენებლობის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტრუქტურისთვის. პროფესორი ზურაბ გელენიძის ლექციები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული კულტურით, რისთვისაც სტრუქტურულ მას განსაკუთრებული პატივის მიაგებდნენ. ბატონი ზურაბის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. იგი იყო 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიის, სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მეთოდური მითითებების ავტორი. პროფესორი თვალსაზრისით, აღსანიშნავია მისი მონაწილეობა საქართველოში განხორციელებული თითქმის ყველა ჰიდროენერგეტიკული ობიექტის კვლევა-ძიებაში, პროექტირებასა და მშენებლობაში მთავარი ინჟინრის, მეცნიერ-კონსულტანტის და მრჩეველის თანამდებობაზე.

ზურაბ გელენიძე უშურველად გადასცემდა თავის მდიდარ პედაგოგიურ და მეცნიერულ გამოცდილებას ახალგაზრდობას, რომელიც ბატონ ზურაბზე მეტად მზრუნველ მასწავლებელსა და ქვეყნის მკვლევარს. ისინი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი სამაგისტრო ნაშრომი, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო არაერთი სადისერტაციო კოლეგის წევრი, თავმჯდომარე.

ამ მეტად ტყეადა, მრავლისმომცველი და საპასუხისმგებლო საქმიანობის უმადლეს დონეზე წარმართვაში, მდიდარ ცოდნა-გამოცდილებასთან და პროფესიულ ჩვევებთან ერთად, შინაგანი მონეტარული უფლები, პასუხისმგებლობა, საკუთარი თავისადმი მაღალი მომთხოვნელობა და კოლეგებთან და სტრუქტურულ ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭიც ეხმარებოდა. ქვეყნის მშენებლობის დიდოსტატი, თავისი საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო ქართული ოჯახის თავკაცი, ღირსეული მამულიშვილი და ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, რომლის სახელსაც დიდხანს არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონ ზურაბ გელენიძის სული, მშობლიური ქვეყნის, ერისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე ვალდებული კაცისა.

საპარტოველო ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საინჟინერო აკადემია.

თენგიზ, ჟანა უჩანეიშვილები იუწყებიან, რომ გარდაცვალებული უსაყვარლესი და უძვირფასესი ნათესავი და მეგობარი, მეცნიერი და გამოგონებელი, რომელმაც თავისი მრავალწლიანი და ნაყოფიერი მუშაობით მაღალი ავტორიტეტი როგორც მშობელი ქვეყნის, ისე მის ფარგლებს გარეთაც მოიხვეჭა



რამაზ ბრიგოლის ძე მესხი
და სამიძმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება ბინიდან: ლ. ბოცვაძის 2 (კოსტავას ქუჩიდან) კვირას, 26 VII, 15 სთ.

მედიცინა

სენსაცია: კიბოს სრული დაბრუნება შესაძლებელია!!!

რომორც ვაიცმანის სახელმწიფო ინსტიტუტის იმუნოლოგი პროფესორი - ლეა აიზენბახი ამბობს, მან თავის გუნდთან ერთად 30-წლიანი მუშაობის შემდეგ შექმნა ვაქცინა, რომელიც კიბოს 20-ამდე სახეობას დაამარცხებს. მისი თანამოაზრე სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ვაქცინის პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ, კიბოს მკურნალობაში ქიმიო თერაპიის კურსის გამოყენება საჭირო აღარ იქნება.



„ჩვენ შევქმენით ვაქცინა, რომელიც ისე ააქტიურებს იმუნურ სისტემას, რომ მისი მთავარი „ჯარისკაცები“ - ლიმფოციტები - გადაიტვიტონ და დაუბრუნებელ მებრძოლებად ისინი ცნობენ სიმსივნურ უჯრედებს, მიუხედავად შენიღბვის მრავალი ხერხისა და უკლებლივ ანადგურებენ მათ“, - ამბობს პროფესორი აიზენბახი. ვაქცინის შემქმნელები ასევე ამტკიცებენ, რომ აღნიშნულ ვაქცინას, შეუძლია შეიცვალოს სიმსივნის ტიპის მიხედვით, ის წარმოადგენს პროტეინებს - ცილების გარკვეულ კომბინაციას. ლეას განმარტებით, მათი ვაქცინით გააქტიურებული ლიმფოციტები იძენენ დამატებით „ძალას“, შემდეგ კი მოქმედებენ ბიოქიმიკოსების მიერ მკაცრად დაპროგრამებული მექანიზმით: ანეიტრალავენ გადაგვარებულ უჯრედებს. როგორც მეცნიერები აცხადებენ მეცნიერული კვლევა დასრულებულია და არსებობს დაპატენტებული დასკვნაც. ახლა ექიმებსა და ბიოტექნოლოგიურ კომპანიებსა და მოკიდებული, ჩადებენ თუ არა ინვესტიციას კლინიკურ კვლევებში და გამოუშვებენ თუ არა ვაქცინას. იმის მიუხედავად, რომ ამ ვაქცინას კიდევ მრავალი კლინიკური კვლევა უნდა ჩატარდეს. ის უკვე მიიჩნევა კიბოს მკურნალობაში ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვან მეცნიერულ მიღწევად.

თავმა ლაკლაპი დროზე აღრი რომ არ დაიწყოს...

ზაფხულში, ჩვეულებრივ, მზის სხივების შემოქმედების შედეგად, თმა უფერულდება, ღერები ადვილად იმსხვრევა, ზოგჯერ ცვენასაც იწყებენ. რა უნდა მოიმოქმედოთ საიმისოდ, თუკი შეატყვეოთ, რომ თმის ცვენა გაგიძლიერდეთ?

როცა დღის განმავლობაში ქალს 50-100, მამაკაცს კი 100-150 ღერი თმა სცევა, ეს ნორმაა. ხოლო თუკი მათმა რიცხვმა იმატა, საჭიროა ამის მიზეზის დადგენა და შესაბამისად ზომების მიღება. ამასთან, მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს, მაგრამ უმეტესად ამ პროცესს ოთხი ყოფითი ფაქტორი განაპირობებს: **გადატანილი ავადმყოფობა**, მაგალითად გრიპი, ან ძლიერი გაციება, რომლის დროსაც, მაღალი სიცხის დასაწვად, საჭირო გახდა ანტიბიოტიკების მიღება; **სტრესი**. მაგალითად, ბევრი მუშაობისა და ცოტა ძილის გამო; **არასწორი კვება**. ხისტი დიეტა, ცილების დეფიციტი, გაუჯერებელი ცხიმოვანი მჟავებისა და ვიტამინების ნაკლებობა ასუსტებენ და აზიანებენ თმას; **არასწორი მოვლა**, მათ შორის შამპუნისა და პიგიუნის სხვა საშუალებათა შეუსაბამო შერჩევა. ყოფითი პრობლემების გამკლავება ძნელი საქმე არ არის, მაგრამ თუ თმის ცვენა გენეტიკური მიდრეკილებით ან ასაკობრივი ცვლილებებითაა გამოწვეული, საჭიროა ექიმ-ტრიქოლოგთან კონსულტაციის დროულად გავლა. თმის ცვენა - ორგანიზმის დაბერების ერთ-ერთი ნიშანია. თმის ფოლიკულები (**ბოლქვები - რედ**) აქსელესაციის შედეგად სუსტდებიან, ბავშვებში თმის ცვენაც „ახალ-

გაზრდადვება“, თუმცა, სწორად შერჩეული მოვლა და მკურნალობის ტაქტიკა ამ პროცესის შეჩერების ან, ყოველ შემთხვევაში, შენელების შესაძლებლობას იძლევა. გამელოტების ჩივილით სპეციალისტებს სხვებზე ხშირად ისინი მიმართავენ, ვის ახლო ნათესავენ ასეთივე პრობლემა ჰქონდათ.



ყველაზე ხშირად ექიმები 45-50 წლის ქალები და მამაკაცები მიმართავენ, რომლებსაც თმის ცვენა აქტიურად ეწყებათ. აღსანიშნავია, რომ მკურნალობას ბევრი დრო, მიყვლა და სოლიდური ფულადი ხარჯი სჭირდება. ამიტომაც უმჯობესია ექიმს დროულად, მანამდე მიმართოთ, ვიდრე პროცესი ძალიან შორს არ წასულა.

ამდენად, ისინი, ვისაც თმის ცვენის პრობლემა გაუმაჯრდა, მზად უნდა იყვნენ სქესობრივი და ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების, ორგანიზმში მიკროელემენტების შემცველობის ანალიზების ჩასატარებლად. მზარდი და დაცვენილი თმების ოდენობის შეფარდების დასადგენად საჭიროა ასევე ფოტოტრიგრამის გაკეთება. დიაგრამებისა და თავის კანის მრავალჯერ გადიდებული ფოტოების მეშვეობით, კომპიუტერული პროგრამა თვალნათლივ დაგანახებთ, თუ რამდენი თმის ცვენა დაგანახებთ, თუ რამდენი თმის ცვენა დაგანახებთ, თუ რამდენი თმის ცვენა დაგანახებთ.

გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, პაციენტს შესაძლოა, სხვადასხვა სახეობის მკურნალობა დაუნიშონ - ეს იქნება ზრდის აქტივაციური ლოსიონების თავის კანში ჩაზელება, ჰორმონალური პრეპარატების მიღება, მეზოთერაპია ან სხვა. მკურნალობა, პრობლემის სერიოზულობის ხარისხიდან გამომდინარე, შეიძლება 4 თვიდან 2 წლამდე გაგრძელდეს.

პაციენტთა საყურადღებოდ! ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ ინფორმაციაა... პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ყურადღება! იყიდება დიდ დილოში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოსობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავებით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

რეკლამა 29 3-37-87; 568 82-09-84. მაჩაბლის ქ. №7.

ცინცხალი ანეკდოტები - ნუ გვაჭარბებ აქ შენს ინტელექტს! - მაგრამ მე ხომ ხმას არ ვიღებ. - აი, ესაა საქმე! ისეთი გამომეტყველებით ზიხარ, თითქოს ფიქრობ. * * * შემოდის ცოლი სახლში, შედის ოთახში სადაც მისი ქმარი ფეხბურთის საყურებლად ტელევიზორს მისჯდომია, და ჩანთიდან ამოაქვს არყის ბოთლი, ორი ქილა ლუდი, ტარანი... - აქ მოგიტან მისათანებელსაც, საყვარელო, - ეუბნება ცოლი... - ძალიანაა დაზიანებული? - არც ისე საყვარელო... შუქფარები, ბამპერი და, ცოტაც კაპოტი... * * * ძმარი სათევზაოდ ემზადება, - დილიდან იმარაგებს სასმელს და მისათანებელს. - ანკესი რად არ მი-

კადრი - გაქვს? - ეკითხება კარებთან მისულს ცოლი. - რად მინდა? რომ დავკარგო?.. * * * სამსახური - ის ადგილია, სადაც მუშაობ... ნერვული სტრესი, ნერვული დავიდარბა, თავის ტკივილი... თვის ბოლოს კი გაძლევნ ცოტა ფულს სამკურნალოდ. * * * - რისთვის შექმნა ღმერთმა ეკონომისტები? - რათა იმათ ფონზე სინოპტიკოსები კარგად გამოიყურებოდნენ. * * * უსაფრთხოების ქაშის გარეშე საჭის მართვა სახიფათოა - ჯარიმა მოსალოდნელი... გამორთული ფარებისთვისაც ჯარიმა, საბავშვო საფარმლის გარეშე ბავშვების გადაყვანაც აკრძალულია - ჯარიმა... ის კი, რომ გზებზე თითქმის ყოველ მეტრზე ორმოებია, თურმე არანაირად არ ავლენს გავლენას მოძრაობის უსაფრთხოებაზე.

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები. საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA მაჩაბლის ქ. №7 ინფორმაცია 66434 გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაქ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3853 9 772233 1385001 მთავარი რედაქტორის მაგიერ სპარტაკ ძოგულია 293-37-87; 599 36-00-35 რედაქტორთა საბჭო: ალაიო ასლანიშვილი 599 56-81-86; გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; პასუხისმგებელი მდივანი მაგუბა ვაშაიძე 514 33-33-24